

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის  
2022 წლის  
სამოქმედო გეგმა

---

წლიური ანგარიში

# სარჩევი

## I - ბიუჯეტირება

ბიუჯეტის მართვის სრულყოფა

1.1 წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის შემუშავება.....	5
1.2 საშუალოვადიანი დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდა (MTEF) .....	6
1.3 პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესების ხელშეწყობა სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე .....	7
1.4 საბიუჯეტო დოკუმენტაციის ფისკალური მართვის პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.....	8
1.5 საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი ციკლის ჩამოყალიბება.....	8
1.6 წლიური და კვარტალური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშება, მაკონტროლებლის წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერება .....	9
1.7 საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.....	10
1.8 მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესება .....	10
1.9 საბიუჯეტო პროცესის მხარდაჭერა შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფით .....	11
1.10 სტრატეგიული/სექტორული პოლიტიკის დოკუმენტებსა და ბიუჯეტს შორის კავშირის გაძლიერება.....	11

## II- მთავრობის ვალის მართვა

1. მთავრობის ვალის მართვის საშუალო ვადიანი სტრატეგიის განახლება
2. მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება

2.1 პირველადი დილერების სისტემის დანერგვის პროცესის შემდეგ ეტაპზე გადასვლა .....	8
2.1.1 პირველადი დილერების შეფასების მეთოდოლოგიის მიღება .....	9
2.1.2 პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის შეფასება .....	9
2.1.3 პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის გაფართოება .....	9
2.2 ინვესტორებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება .....	10
2.3 სახელმწიფო ვალის შესახებ კანონის განახლება.....	10

## III- აღრიცხვა და ანგარიშება

1. დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვა

1.1 IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, საჯარო სექტორში აღრიცხვა-ანგარიშების მარებულირებელი ნორმატიული აქტების დახვეწა და გაუმჯობესება .....	10
1.2 IPSAS სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი კატეგორიების აღრიცხვა და ანგარიშება .....	10
1.3 საჯარო სექტორის ბუღალტრებისთვის სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ტრენინგების და ა.შ გამართვა ....	11
1.4 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ ბუღალტრები აღრიცხვის წარმოება სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების შესაბამისად.....	11
1.5 მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადება სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების საფუძველზე .....	11
1.6 IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, სტანდარტების მუდმივი თარგმნა/განახლება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა .....	12
2. სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) განვითარება	

2.1 სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში (PFMS) დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ხაზინის მთავარი წიგნის ფუნქციონალების შემუშავება/განვითარება და არსებული ბიზნეს-პროცესების დახვეწა/გამარტივება.....	12
2.2 სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების გადამზადება ხაზინის ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან/ცვლილებებთან დაკავშირებით .....	12

#### **IV- საგადასახადო და საბაჟო საკითხები**

##### **1. საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება**

1.1 ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზება .....	12
1.2 საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა .....	13
1.3 საბაჟო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა .....	13
1.4 საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა .....	13

##### **2. საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული კანონშესაბამისობის ამაღლება**

2.1 ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზის შექმნა .....	13
2.2 ძირითად გადასახადებში დეკლარაციების აუდიტის პროგრამის დანერგვა .....	14
2.3 ძირითად გადასახადის სახეებში სავარაუდო დარიცხვის მექანიზმის შემუშავება .....	14
2.4 საგადასახადო დავალიანების მართვის რეფორმა .....	14
2.5 მსხვილ გადამხდელთა ადმინისტრირების ახალი მიდგომების დანერგვა .....	14
2.6 eTIR სისტემის დანერგვა.....	15

#### **3 ევროკავშირთან ინტეგრაციის შხარდაჭერა**

3.1 ფინანსური ინფორმაციის ავტომატური გაცვლის საპილოტე პროექტის მეორე ფაზის განხორციელება .....	15
--	----

#### **V - მაკროეკონომიკური ანალიზი და ფისკალური პოლიტიკა**

##### **1. მაკროეკონომიკური პროგნოზირების და ანალიზის გაუმჯობესება**

1.1 მაკროეკონომიკური პროგნოზების ანალიზის გაუმჯობესება და ანალიტიკური ინფორმაციის გაზრდა .....	15
1.2 ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება.....	16
1.3 მაკროეკონომიკური კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნება .....	17
1.4 ეკონომიკის განვითარებაზე მოქმედი შოკების ანალიზი, სცენარების შედგენა და მაკროეკონომიკური რისკების შეფასება .....	17
1.5 სტრეს-ტესტების ანალიზი .....	17
1.6 საშუალოვადიანი ფისკალური პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება .....	17
1.7 სოციალურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შეფასებასა და სტრატეგიების შემუშავებაში მონაწილეობა მაკროეკონომიკური პროგნოზირების კუთხით .....	16

1.8 ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების მიზნით სტრატეგიის დამუშავების კოორდინაცია და საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობის კოორდინაცია .....	16
--	----

##### **1.9 საგადასახადო დანახარჯების შესაფასებლად მონაცემების დამუშავება და ანალიზი, შეფასების არეალის გაზრდა..** 16

##### **2. შემოსავლების პროგნოზირების და ანალიზის გაუმჯობესება**

2.1 ერთიანი და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების მომზადება, ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების არსებული მეთოდოლოგიის დახვეწა და ალტერნატიული მეთოდოლოგიის შემუშავება.....	16
--	----

2.2 სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სამუშაოთა ორგანიზება და მონაცემთა გავრცელება ქვეყანაში მიღებული სტატისტიკური მეთოდოლოგიით და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა გათვალისწინებით.....17

## VI - ფისკალური რისკები

- 1.1 სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგიის მომზადება და საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგინა.....17
- 1.2 სახელმწიფო საწარმოთა შესახებ ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება .....17
- 1.3 ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტის მომზადება .....19
- 1.4 ფისკალური რისკების ანალიზის და მართვის მექანიზმების შემუშავება და შემდგომი დახვეწა .....19

## VII - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება

### 1. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა

- 1.1 სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების დაგეგმვა, შეფასება და ცნობადობის ამაღლება.....18
- 1.2 ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში .....18
- 1.3 შიდა აუდიტის საქმიანობის განვითარებისა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში ....19

## VIII - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა

### 1. ანგარიშგებების პორტალის ეფექტური ფუნქციონირება

- 1.1 ანგარიშგებების პორტალის განვითარება .....
2. აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა

  - 2.1 აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდა.....19
  - 3 ანგარიშგებების დეტალური მიმოხილვა.....19

## IX - ინფორმაციული ტექნოლოგიები

### 1. საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერა და განვითარება

- 1.1 eBudget - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება.....20
- 1.2 eTreasury- სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება.....20
- 1.3 eDMS- სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება .....
- 1.4 eHRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება.....21
- 1.5 ფინანსთა სამინისტროს ICT-ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა .....

## 1. ბიუჯეტის მართვის სრულყოფა

### 1.1 წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის შემუშავება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი, მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი, სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

**შესრულების მაჩვენებელი:** მომზადებულია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი და საქართველოს პარლამენტში წარდგენილია კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში;

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ ფისკალურ პარამეტრებთან.

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** მომზადდა „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტები (პირველი წარდგენა და მეორე წარდგენა), რომელშიც არსებული გამოწვევის ფონზე დაკორექტირდა მაკროეკონომიკური პროგნოზები. მაღალი ეკონომიკური ზრდის პირობებში, გაიზარდა შემოსულობები და გადასახდელები, 2022 წელს ვალის აღების მაჩვენებელი შემცირდა და მთავრობის ვალის მოცულობა შეადგენს მშპ-ს 39,6%-ს. ამასთანავე, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობა, მშპ-ს 4,3%-დან მცირდება მშპ-ს 3,1%-მდე. „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტი (პირველი და მეორე წარდგენა) განსახილველად წარედგინა საქართველოს პარლამენტს. დამტკიცებული კანონი (2022 წლის 5 ოქტომბერი; 1859-IXმს-Xმპ) რედაქტირებად ფორმატში განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე.<sup>1</sup>

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის“ მომზადების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა მხარჯავი დაწესებულებების მიერ გამოგზავნილი საბიუჯეტო განაცხადები და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პარამეტრები განსახილველად წარუდგინა საქართველოს მთავრობას. „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი“ (პირველი, მეორე, მესამე წარდგენა), 2023-2026 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების გადამუშავებული დოკუმენტი, ბიუჯეტის კანონის პროექტის თანდართული მასალები და „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის“ თანმდევი კანონპროექტები წარედგინა საქართველოს მთავრობას კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. აღსანიშნავია, რომ პირველად მომზადდა საგადასახადო დანახარჯების ანალიზის დოკუმენტი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დანართია. აღნიშნული დოკუმენტები რედაქტირებად ფორმატში განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე.<sup>2</sup>

მიმდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბერში სავალუტო ფონდის მისიასთან განხილვების დროს განახლდა საშუალოვადიანი პროგნოზები, მათ შორის 2022 წლის პროგნოზიც, შესაბამისად განხორციელდა კიდევ ერთი ცვლილება 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში (2022 წლის 15 დეკემბერი; 2382-IXმს-Xმპ). გაიზარდა შემოსავლები და შესაბამისად გარკვეული მიმართულებით 2023 წელს დაგეგმილი ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსება გათვალისწინებული იქნა 2022 წლის ბიუჯეტში, შესაბამისად დაკორექტირდა 2023 წლის ბიუჯეტის საბოლოო ვერსია.

საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი, გამოქვეყნებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.<sup>3</sup>

<sup>1</sup> <https://mof.ge/5477>

<sup>2</sup> <https://mof.ge/5593>

<sup>3</sup> <https://mof.ge/5603>

## **1.2 საშუალოვადიანი დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდა (MTEF)**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი, მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

**შესრულების მაჩვენებელი:** მომზადებულია 2022-2025 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი და წარდგენილია საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისთვის.

2023-2026 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი და გადამუშავებული ვარიანტები მომზადებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საშუალოვადიან პერიოდში მთავრობის შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზები მომზადებულია არსებული პოლიტიკის და პოლიტიკის ცვლილების შემთხვევაში და შესაბამისი ინფორმაცია ასახულია 2023-2026 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში არანაკლებ შემდეგი მიმართულებებით: განათლება, მეცნიერება, კულტურა და სპორტი, გარემოს დაცვა და სოფლის მეურნეობა, დეცნილთა საკითხები, შრომა, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დაცვა.

წინა პერიოდის საშუალოვადიანი პარამეტრებისგან გადახრის გამომწვევი მიზეზების თაობაზე მომზადებულია ინფორმაცია და თან ახლავს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტს, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

**პერიოდი:** იანვარი-ივლისი

**პროგრესი:** 2022-2025 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტს დაემატა მუნიციპალიტეტებიდან და ავტონომიური რესპუბლიკებიდან მიღებული ინფორმაცია და მომზადდა დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი, რომელიც ინფორმაციის სახით წარედგინა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2022-2025 წლებისათვის (საბოლოო ვარიანტი) განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.<sup>4</sup>

მომზადდა „2023-2026 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი და დამტკიცდა 2022 წლის 25 თებერვლის N88 დადგენილებით. დადგენილებით შემუშავებულია დანართების ფორმები, რომლის მიხედვითაც მხარჯავი დაწესებულებები, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით, ეტაპობრივად წადმოადგენენ ინფორმაციას საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. აღნიშნული დადგენილება ხელმისაწვდომია სსიპ-საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით.<sup>5</sup>

მომზადდა და კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილი) საქართველოს მთავრობას წარედგინა ინფორმაცია ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ. დოკუმენტი განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე<sup>6</sup>.

<sup>4</sup> <https://www.mof.ge/5439>

<sup>5</sup> <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5393449?publication=0>

<sup>6</sup> [https://mof.ge/images/File/2022/monacemebi\\_mimarTulebebi/02-06-2022/2023-2026%20E1%83%A1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.docx](https://mof.ge/images/File/2022/monacemebi_mimarTulebebi/02-06-2022/2023-2026%20E1%83%A1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.docx)

მომზადდა სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) და საჯარო ფინანსების მართვის გენდერულ ჭრილში შეფასების (GRPFM) 2019-2021 წლების თვითშეფასების დოკუმენტები, რომლებიც ვალიდაციის მიზნით გაეგზავნა მსოფლიო ბანკს.

მიმდინარე წლის 20 დეკემბერს მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის მხარდაჭერით, ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჩართულობით გაიმართება სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) და საჯარო ფინანსების მართვის გენდერულ ჭრილში (GRPFM) შეფასების ანგარიშის ძირითადი მიზნების და გამოწვევების შესახებ პრეზენტაცია. 2022 წლის სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) გლობალური ანგარიშის მიხედვით, საქართველო კვლავ ინარჩუნებს ნომერ პირველის სტატუსს საჯარო ფინანსების მართვის მუდმივი გაუმჯობესებით 59 ქვეყანასთან შედარებით, რომლებიც შეფასდნენ 2016 წლის PEFA - ს მეთოდოლოგით. სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) შეფასების შედეგების მიხედვით, წარმოდგენილი 31 ინდიკატორიდან 27 გაუმჯობესდა ან შენარჩუნდა 2018 წლის შეფასებასთან შედარებით. მნიშვნელოვანი პროგრესი განხორციელდა ბიუჯეტის საშუალოვადიანი დაგეგმვის და პროგრამული ბიუჯეტირების კუთხით; შემუშავდა და დამტკიცდა მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია; მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საინვესტიციო პროექტების მართვის მიმართულებით; განახლდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი.

2023-2026 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი და გადამუშავებული ვარიანტები მომზადებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.<sup>7</sup>

წინა პერიოდის საშუალოვადიანი პარამეტრებისგან გადახრის გამომწვევი მიზეზების თაობაზე მომზადებულია ინფორმაცია და თან ახლავს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტს, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.<sup>8</sup>

### 1.3 პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესების ხელშეწყობა სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი, (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები. მუნიციპალიტეტები, დონორები)

**შესრულების მაჩვენებელი:** ჩატარებული ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები სამინისტროების და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის დონორების მხარდაჭერით.

პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის განახლება.

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** მსოფლიო ბანკის და ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში მსოფლიო ბანკის ექსპერტი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან აქტიურად თანამშრომლობს და ეხმარება მათ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების და პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესებაში. მათ შორის, ზემოაღნიშნულ საკითხებზე 26 – 27 ივლისს ჩატარდა ტრეინინგები შესაბამის სამინისტროებთან.

<sup>7</sup> <https://mof.ge/5539>

<sup>8</sup> <https://mof.ge/images/File/2022-biujeti/30-09-2022/2023/Danarti/22.prognozebis%20shedareba%202023.docx>

**1.4 საბიუჯეტო დოკუმენტაციის ფისკალური მართვის პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა**  
**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

**შესრულების მაჩვენებელი:** ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტში და საბიუჯეტო დოკუმენტაციაში, როგორც დასაგეგმი, ისე შესრულების შესახებ ინფორმაციაში ფისკალურ დისციპლინასთან შესაბამისობის შესახებ დეტალური განმარტებების ასახვა.

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** მომზადდა განახლებული დოკუმენტი “საშუალოვადიანი პროგნოზების შედარება და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ ფისკალურ წესებთან შესაბამისობა” რომელიც თან დაერთო 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.<sup>9</sup>

#### **1.5 საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი დაკლის ჩამოყალიბება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი, ფისკალური რისკების მართვის სამმართველო (ჩართული მხარეები: მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგენერირებისათვის დეპარტამენტი, სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი, მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი, დონორები)

**შესრულების მაჩვენებელი:** მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ახალი საინვესტიციო პროექტების შეფასება საინვესტიციო პროექტების შეფასების მიზნით განსახორციალებელი ღონისძიებების შესასრულებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის და მეთოდოლოგიის შესაბამისად და წარდგენა უწყებათაშორის კომისიისთვის განსახილველად.

არანაკლებ ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მთლიანი ღირებულების 75%-ისთვის განხორციელებული წინასწარი შერჩევა და შეფასება საინვესტიციო პროექტების გზამკვლევის და მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მხარჯავი დაწესებულებების და მუნიციპალიტეტების შესაბამისი თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარება საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით.

სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურთან თანამშრომლობით საინვესტიციო პროექტების მართვის ელექტრონული პორტალის ინტეგრირება საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონულ სისტემაში (ePFMS).

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** საინვესტიციო პროექტების მართვის (PIM) რეფორმის დაწერგვის გაუმჯობესების მიმართულებით, ევროკავშირის და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მოწვეული ექსპერტების ჩართულობით მიმდინარეობს მუშაობა საინვესტიციო პროექტების შეფასების და შესაბამისი ღონისძიებების შესასრულებლად შექმნილ სამუშაო ჯგუფთან. ამ რეფორმის ფარგლებში ევროკავშირის და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მოწვეული ექსპერტების ჩატარდა საინვესტიციო პროექტების მართვის (PIM) ტრენინგების ციკლი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო, როგორც სამინისტროების, ასევე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა. ამ მიმართულებით გადამზადდა დაახლოებით 45 თანამშრომელი სხვადასხვა უწყებიდან.

საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის თანმიმდევრული დაწერგვის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნით 2018 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში მომზადდა საინვესტიციო პროექტების მართვის შეფასების დოკუმენტი (Public Investment Management Assessment Report - PIMA). 2022 წელს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის მიერ განხორციელდა საინვესტიციო პროექტების მართვის შეფასების (PIMA) განახლება და კლიმატის ცვლილების ჭრილში საინვესტიციო პროექტების მართვის შეფასება (C-PIMA) მომზადება.

<sup>9</sup> <https://mof.ge/images/File/2022-biujeti/30-09-2022/2023/Danarti/22.prognozebis%20shedareba%202023.docx>

სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) 2022 წლის შეფასების მიხედვით, რომელიც მოიცავს 2021 წლის ჩათვლით პერიოდს, საინვეტიციო პროექტების მართვის ინდიკატორი შეფასდა „A” ქულით (სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) 2018 წლის შეფასებით აღნიშნული ინდიკატორის შეფასება იყო „D”).

32 ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების პროექტის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.<sup>10</sup>

მსოფლიო ბანკსა და სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან თანამშრომლობით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა საინვესტიციო პროექტების მართვის ელექტრონული პორტალის შექმნაზე საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონულ სისტემაში (ePFMS).

## **1.6 წლიური და კვარტალური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშება, მაკონტროლებლის წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს პარლამენტი)

### **შესრულების მაჩვენებელი:**

2021 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის და საქართველოს პარლამენტისთვის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. შესრულების ანგარიში მოიცავს ფისკალური წესების შესახებ განმარტებებს, დაგეგმილ და მიღწეულ მიზნებს და განმარტებებს განსხვავებების შესახებ. წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მომზადებული ინფორმაცია წინა წლის შესრულების ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებით მიღებული სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ.<sup>11</sup>

2022 წლის ბიუჯეტის კვარტალური ანგარიშები საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის არსებულ მოთხოვნებს;

6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მომზადებულია ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შუალედური მიმოხილვის შესახებ და წარდგენილია საქართველოს პარლამენტისთვის;

მომზადებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ სამოქმედო გეგმა დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციების რეტროსპექტიული გადახედვა და რეკომენდაციების ანალიზი.

### **პერიოდი: იანვარი-დეკემბერი**

**პროგრესი:** კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, მომზადდა 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში. შესრულების ანგარიში მოიცავს ფისკალური წესების შესახებ ინფორმაციას, მხარჯავი დაწესებულებების მიერ დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს და ინდიკატორებს და განმარტებებს განსხვავებების შესახებ. წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მომზადდა ინფორმაცია საქართველოში ახალი კორონავირუსის COVID-19-ის გავრცელების და მასზე ფისკალური პასუხის შესახებ და დანართის სახით დაემატა შესრულების ანგარიშს, რომელიც წარედგინა საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს. სახელმწიფო ბიუჯეტის 2021 წლის წლიური შესრულების ანგარიში რედაქტირებად ფორმატში (მოიცავს როგორც word-ის, ასევე excel-ის ფაილებს) განთავსებულია ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.<sup>12</sup>

<sup>10</sup> <https://mof.ge/5615>

<sup>11</sup> <https://mof.ge/5521>

<sup>12</sup> <https://www.mof.ge/5521>

კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, მომზადდა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური (3, 6 და 9 თვის ) შესრულების ანგარიშები. აღნიშნული დოკუმენტები რედაქტირებად ფორმატში (მოიცავს როგორც word-ის, ასევე excel-ის ფაილებს) განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე.<sup>13</sup>

## 1.7 საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

### **შესრულების მაჩვენებელი:**

ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) მიხედვით ყველა ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე ([www.mof.ge](http://www.mof.ge)) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევი გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე. მომზადებულია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტის და შესრულების ანგარიშების მოკლე გზამკვლევები, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

ბიუჯეტის მომზადების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის პლატფორმა (eBTPS.mof.ge) ფუნქციონირებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე, რომლის საშუალებით მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობის და მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით.

### **პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** გატარებული რეფორმების შედეგად, ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (International Budget Partnership) მიერ გამოქვეყნებული ბიუჯეტის გამჭვირვალობის 2021 კვლევის (Open Budget Survey – 2021) შედეგების მიხედვით, საქართველომ მსოფლიოს 120 ქვეყანას შორის პირველი ადგილი დაიკავა.<sup>14</sup>

მომზადდა, როგორც სახელმწიფო, ასევე ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 2022 წლის საბიუჯეტო კალენდარი<sup>15</sup>, რომელიც ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდის მეშვეობით.

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენაზე და ბიუჯეტის კანონზე მომზადებულია მოქალაქის გზამკვლევი, რომელიც გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე. ამასთან, მომზადებულია ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებზე მოკლე გზამკვლევები, რომლებიც ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.<sup>16</sup>

## 1.8 მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესება

<sup>13</sup> <https://mof.ge/5529>

<sup>14</sup> <https://internationalbudget.org/open-budget-survey/rankings>

<sup>15</sup> [https://mof.ge/sabijeto\\_kalendari](https://mof.ge/sabijeto_kalendari)

<sup>16</sup> [https://mof.ge/mokalakis\\_gzamkylevi](https://mof.ge/mokalakis_gzamkylevi)

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მუნიციპალიტეტები, დონორები)

**შესრულების მაჩვენებელი:** ხორციელდება მუნიციპალიტეტების ხელშეწყობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მუნიციპალიტეტებს შორის საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის თაობაზე გასაფორმებელი ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებული 2022 წლის განმავლობაში განსახორციელებელი პირობების შესრულების მიზნით, საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით. ხორციელდება ამ პირობების შესრულების მონიტორინგი.

გაანალიზებულია მუნიციპალურ დონეზე ჩატარებული სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების ანალიზი (Public Expenditure and Financial Accountability Assessment at sub-national level (PEFA)) დამატებით არანაკლებ 10 მუნიციპალიტეტში.

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2022 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №2735 დადგენილებში განხორციელდა ცვლილება (2022 წლის 26 დეკემბერი, N2431) დამატებით 23 მუნიციპალიტეტთან ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების მიზნით. აღნიშნული მემორანდუმები ჯამში გაფორმებულია 62 მუნიციპალიტეტთან.

„საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2022 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2021 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2374 განკარგულებით მუნიციპალიტეტებს გამოეყო 7 000.0 ათასი ლარი (საანგარიშო პერიოდში კაპიტალური ტრანსფერის სახით თანხა გამოეყო 23 მუნიციპალიტეტს).

## **1.9 საბიუჯეტო პროცესის მხარდაჭერა შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფით**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

**შესრულების მაჩვენებელი:** საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მხარდაჭერილია შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით.

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან ერთად მომზადდა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექტში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი. ცვლილებები ითვალისწინებს:

- ✓ სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ტერმინის შემოღებას და მათი ფინანსური ოპერაციების ასახვას სახელმწიფოს ერთიან ბიუჯეტში, ასევე, მათ ეტაპობრივ გადასვლას სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე.
- ✓ სავალდებულო ხდება საშუალოვადიან ბიუჯეტში გათვალისწინებული ახალი მსხვილი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შეფასება საინვესტიციო პროექტების მართვის მეთოდოლოგიის შესაბამისად და ამ შეფასებების ძირითადი მაჩვენებლების ასახვას ბიუჯეტის თანმდევ დოკუმენტაციაში. გარდა ამისა, პროექტის მიხედვით სავალდებულო ხდება ბიუჯეტს თან დაერთოს ინფორმაცია საგადასახადო დანახარჯების შესახებ;
- ✓ ცვლილებაში ასახულია ის ძირითადი პრინციპებით თუ როგორ უნდა მოხდეს მომდევნო წლებში საბაზო თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრა. კერძოდ, გათვალისწინებულია, რომ 2026 წლამდე საბაზო

თანამდებობრივი სარგო უნდა გაიზარდოს არანაკლებ იმ პროცენტული მაჩვენებლის ნახევრით, რა პროცენტული მაჩვენებლითაც ბოლო 4 კვარტალში გაიზარდება კერძო სექტორში დასაქმებულთა საშუალო შრომის ანაზღაურება, ხოლო 2026 წლიდან არანაკლებ ამ პროცენტული მაჩვენებლით. ამასთან, პროექტით განსაზღვრულია, რომ საბაზო თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს საჯარო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასის თანაფარდობა კერძო სექტორში არსებულ საშუალო ხელფასთან, კერძოდ 2026 წლიდან არ უნდა იყოს 80%-ზე ნაკლები და 90%-ზე მეტი.

„საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი, თანმდევ მასალებთან ერთად გამოქვეყნებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.<sup>17</sup>

## 1.10 სტრატეგიული/სექტორული პოლიტიკის დოკუმენტებსა და ბიუჯეტს შორის კავშირის გაძლიერება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საბიუჯეტო დეპარტამენტი, საფინანსო-ანალიტიკური სამსახური (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები)

**შესრულების მაჩვენებელი:** ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (ebudget) არსებობს სტრატეგიული/სექტორული პოლიტიკის დოკუმენტებისა და ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების დაკავშირების მექანიზმი.

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** საბიუჯეტო დეპარტამენტის და სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ერთობლივი მუშაობით ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (ebudget) პროგრამული ბიუჯეტის ნაწილში დაემატა პოლიტიკის კლასიფიკატორის ველი რომლის საშუალებითაც მხარჯავ დაწესებულებებს შეეძლებათ სტრატეგიული/სექტორული პოლიტიკის მიმართულებების (SDG, გენდერი, კლიმატის ცვლილება, ადამიანური კაპიტალის მიზნები და სხვა) და ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების დაკავშირება. აღნიშნული ინფორმაცია ასახულია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის დანართში.<sup>18</sup>

## II- მთავრობის ვალის მართვა

### 1.მთავრობის ვალის მართვის საშუალო ვადიანი სტრატეგიის განახლება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** მთავრობის ვალის მართვის საშუალო ვადიანი სტრატეგიის განახლება.

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** განახლდა მთავრობის ვალის მართვის საშუალოვადიანი სტრატეგია და 2022 წლის დეკემბრის ბოლოს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე. საჯარო განხილვებისა და დისკუსიების შემდგომ სტრატეგია წარედგინება მთავრობას და გამოქვეყნდება მისი საბოლოო ვერსია.

<sup>17</sup> <https://mof.ge/5603>

<sup>18</sup> <https://mof.ge/images/File/2023-Biujet/23-12-2022/danartebi/18.PROGRAMULI%202029.11.22.doc>

## შენიშვნა:

2. **მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება**
  - 2.1 **პირველადი დილერების სისტემის დაწერვის პროცესის შემდეგ ეტაპზე გადასვლა**
  - 2.1.1 **პირველადი დილერების შეფასების მეთოდოლოგიის მიღება**

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით მსოფლიო ბანკთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან კონსულტაციებით პირველადი დილერების შეფასების მეთოდოლოგიის მიღება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკისგან მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად, დასრულებულია მუშაობა პირველადი დილერების შეფასების მეთოდოლოგიაზე. აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოქვეყნება იგეგმება 2023 წლის პირველ ნახევარში.

## შენიშვნა:

### **2.1.2 პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის შეფასება**

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: შემუშავებული შეფასების მეთოდოლოგიით პირველადი დილერების შეფასება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: პირველადი დილერების შეფასება ხდება 6 თვიანი პერიოდებისთვის. პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის ამოქმედების შემდეგ, გასულია პირველადი დილერების შეფასების ოთხი სრული პერიოდი. შესაბამისად, პირველადი დილერების შეფასება გავეთდა პირველი ოთხი პერიოდისთვის. იგეგმება შეფასების შედეგების გაცნობა პირველადი დილერებისთვის.

## შენიშვნა:

### **2.1.3 პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის გაფართოება**

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: პირველადი დილერების საპილოტე პროგრამა ახალი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციის პროგრამაში ჩართვა ან პირველადი დილერების სრულყოფილ სისტემაზე გადასვლა.

პერიოდი: იანვარი -დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარე წლის 28 სექტემბერს შედგა პირველადი დილერების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ წარმომადგენლები როგორც პირველადი დილერების, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის მხრიდან. აღნიშნულ შეხვედრაზე მიღებულ იქნა პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის გაფართოების გადაწყვეტილება. კერძოდ, მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან პირველადი დილერების საპილოტე სისტემა გავრცელდება აქტიურ, 2 წლიან ბენჩმარკ იბლიგაციებზე, ხოლო 2023 წლის 1

იანვრიდან სისტემას დაემატება 2018 წელს გამოშვებული 10 წლიანი ბენჩმარკ ობლიგაციები. აღნიშნული ოქმი და პირველად დილერებთან გაფორმებული განახლებული ურთიერთგაგების მემორანდუმი გამოქვეყნებულია ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე ([www.mof.ge](http://www.mof.ge)).

**შენიშვნა:**

## **2.2 ინვესტორებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ინვესტორებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით ინვესტორებთან ურთიერთობის სტრატეგიის და ანალიტიკური ანგაიშების/პრეზენტაციების შემუშავება.

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკისგან მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად შემუშავებულია ინვესტორებთან ურთიერთობის სტრატეგიის პროექტი. სტრატეგიის გამოქვეყნება იგეგმება მიმდინარე წელს. აგრეთვე, ინვესტორებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარე წლის ივლისიდან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვალის მართვის დეპარტამენტმა დაიწყო ვალის მართვის პორტფელის ყოველთვიური ანგარიშის წარმოება, რომელიც ქვეყნდება როგორც ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე ([www.mof.ge](http://www.mof.ge)), ასევე ყოველთვიურად ეგზავნება ინვესტორებს.

**შენიშვნა:**

## **2.3 სახელმწიფო ვალის შესახებ კანონის განახლება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** საქართველოს კანონის სახელმწიფო ვალის შესახებ განახლება და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება.

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, მსოფლიო ბანკის მისიის ფარგლებში, შემუშავდა სახელმწიფო ვალის შესახებ ახალი კანონის პროექტი. წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა აღნიშნული პროექტის დამუშავების მიზნით. ამჟამად მიმდინარეობს პროექტის განხილვა/დამუშავება დეპარტამენტის შიგნით. შემდგომ ეტაპზე დაგეგმილია პროექტის განხილვა ფინანსთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტთან და საბოლოო ვერსიის შემუშავება. პროექტის საბოლოო ვერსია განსახილვევლად წარედგინება საქართველოს მთავრობას.

**შენიშვნა:**

## **III- აღრიცხვა და ანგარიშგება**

## 1. დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვა

1.1 IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის მიზნით, საჯარო სექტორში აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების დახვეწა და გაუმჯობესება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების მოთხოვნების და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, განხორციელებულია შესაბამისი ცვლილებები აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის შესაბამისობისა და ზოგადად, საჯარო სექტორში აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების დახვეწა-გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა შესაბამისი ნორმატიული აქტების ანალიზი. ანალიზის შედეგად მომზადდა შესაბამისის ნორმატიული აქტების პროექტები, რომლებიც ამოქმედდა მიმდინარე წლის აგვისტოში.

**შენიშვნა:** დასრულებულია

1.2 IPSAS სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი კატეგორიების აღრიცხვა და ანგარიშგება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდოლოგიაში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი კატეგორიების აღრიცხვაში და ანგარიშგებაში ასახვასთან დაკავშირებით; საბიუჯეტო ორგანიზაციები თავიანთ აღრიცხვასა და ანგარიშგებაში ასახვენ სახელმწიფოს სახელით ფლობილ აქტივებს, აღებულ ვალდებულებებს, მიღებულ შემოსავლებსა და გაწეულ ხარჯებს

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** სახელმწიფოს სახელით ფლობილი აქტივების, აღებული ვალდებულებების, მიღებული შემოსავლების და გაწეული ხარჯების აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის მიზნით, განხორციელდა შესაბამისი ნორმატიული აქტების ანალიზი. ანალიზის შედეგად მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტები, რომლებიც დამტკიცდა ფინანსთა მინისტრის ბრძანებებით.

**შენიშვნა:** დასრულებულია

1.3 საჯარო სექტორის ბუღალტრებისთვის სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ტრენინგების და ა.შ გამართვა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია

**შესრულების მაჩვენებელი:** საჯარო სექტორის ბუღალტრები გადამზადებულები არიან და პრაქტიკაში იყენებენ სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ტრენინგების და ა.შ ფარლებში მიღებულ ცოდნას IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან დაკავშირებით

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობის ფარგლებში, განხორციელდა ტრენინგები საჯარო სკოლების ბუღალტრებისათვის IPSAS სტანდარტების სწავლებასთან დაკავშირებით. ასევე, GIZ-ის დახმარებით ჩატარდა ტრენინგები ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი მუნიციპალიტეტების და მათი დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ების ბუღალტრებისთვის, რაც გულისხმობდა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) საფუძველზე შემუშავებული აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდოლოგიის სწავლებას, IPSAS-ების პრაქტიკაში გამოყენების მიზნით.

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

#### 1.4 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების მომზადება სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების შესაბამისად

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებენ სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** ადგილობრივი ხელისუფლების და ავტონომიური რესპუბლიკების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ სამოქმედოდ შემოღებული საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) საფუძველზე შემუშავებული აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდოლოგიის შესაბამისად. მუნიციპალიტეტების და ავტონომიური რესპუბლიკების მიერ მომზადდა 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად და ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის მიზნებისათვის, წარმოდგენილ იქნა სახაზინო სამსახურში. აღნიშნული ანგარიშგებები გამოქვეყნებულია სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე [www.treasury.ge](http://www.treasury.ge)

**შენიშვნა:** დასრულებულია

#### 1.5 მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების საფუძველზე

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების საფუძველზე მომზადებულია მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და გამჭვირვალობისთვის გამოქვეყნებულია სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე

**პერიოდი:** იანვარი-ივლისი

**პროგრესი:** პროგრესი: სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების საფუძველზე სახაზინო სამსახურის მიერ მომზადდა მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2021 წლისათვის და ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მიზნებისათვის, განთავსდა სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე [www.treasury.ge](http://www.treasury.ge)

**შენიშვნა:** დასრულებულია

#### 1.6 IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, სტანდარტების მუდმივი თარგმნა/განახლება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციასთან (IFAC) მემორანდუმის ფარგლებში, IPSAS სტანდარტები თარგმნილია/განახლებულია და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად გამოქვეყნებულია სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:**

**შენიშვნა:** არ დაწყებულა

#### 2. სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) განვითარება

##### 2.1 სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში (PFMS) დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ხაზინის მთავარი წიგნის ფუნქციონალების შემუშავება/განვითარება და არსებული ბიზნეს-პროცესების დახვეწა/გამარტივება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური, საფინანსო ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ჩატარებულია შესაბამისი ბიზნეს-პროცესების ანალიტიკა; შემუშავებულია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა; ბიზნეს-პროცესები დახვეწილია/გამარტივებულია და გამართულად ფუნქციონირებს

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** განხორციელდა ხაზინის მთავარი წიგნის ფუნქციონალების შემუშავება/განვითარება და არსებული ბიზნეს-პროცესების დახვეწა/გამარტივება

**შენიშვნა:** მიმდინარეობს

##### 2.2 სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების გადამზადება ხაზინის ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან/ცვლილებებთან დაკავშირებით

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახაზინო სამსახური, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია

**შესრულების მაჩვენებელი:** სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლები გადამზადებულები არიან ხაზინის ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან/ცვლილებებთან დაკავშირებით

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:**

**შენიშვნა:** არ დაწყებულა

## IV- საგადასახადო და საბაჟო საკითხები

### 1. საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება

**1.1 ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზება**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** - საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებების პროექტზე მუშაობის დასრულება 2003 წლის 27 ოქტომბრის საბჭოს 2003/96/EC დირექტივასთან ევროგაერთიანების ფარგლებში ენერგოპროდუქტებისა და ელექტროენერგიის დაბეგვრის ჩარჩოს რესტრუქტურიზაციის შესახებ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით.

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** მიმდინარეობს მუშაობა.

### 1.2 საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** - საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებების პროექტის მომზადება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

**პერიოდი:** იანვარი – დეკემბერი

**პროგრესი:** მომზადდა საკანონმდებლო ინიციატივები საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებების შეტანის მიზნით.

გაიმართა ახალი საგადასახადო კოდექსის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა ახალი საგადასახადო კოდექსის მირითადი პრინციპები და დაიგეგმა შემდგომი ნაბიჯები. მომზადდა ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის სამუშაო რედაქცია, დამუშვებულ იქნა ზოგადი ნაწილი, ადმინისტრირების საკითხები, საშემოსავლო და მოგების გადასახადების, აქციზისა და ქონების გადასახადის ნაწილები.

კომპეტენციის ფარგლებში მომზადდა საგადასახადო დანახარჯების ანგარიში

ამასთან, დაბეგვრის ერთიანი პრაქტიკის უზნველსაყოფად, მომზადებულია საჯარო გადაწყვეტილებების პროექტები. შეიქმნა საჯარო გადაწყვეტილებების განმხილველი ჯგუფი, რომლის წევრები არიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, შემოსავლების სამსახურის და ბიზნესის წარმომადგენლები. მოხდა ამ ეტაპისთვის შერჩეული საჯარო გადაწყვეტილების პროექტების წარდგენა ჯგუფის წევრებისთვის. წარდგენილი პროექტები გადამუშავდა ჯგუფის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით. ჯგუფის ბოლო შეხვედრაზე პოზიციები შეჯერდა ორ საჯარო გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით, რომლებიც მზადა გამოსაცემად. მიმდინარეობს მუშაობა არსებული პროექტების შემდგომი სრულყოფის და ახალი პროექტების შემუშავების მიმართულებით.

### 1.3 საბაჟო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** საბაჟო კოდექსის X წიგნი იმპლემენტაციისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. ასევე საბაჟო კოდექსის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადება და საბაჟო ტარიფის მარეგულირებელი საკანონმდებლო პროექტის მომზადება.

**პერიოდი:** იანვარი- დეკემბერი

**პროგრესი:** მიმდინარეობს მუშაობა საბაჟო კოდექსის X წიგნის ამოქმედებასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 22 – 24 თებერვალს TAIEX-ის (ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტი) ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა. სექტემბრის თვეში ასევე გაიმართა შეხვედრა შემოსავლების სამსახურთან და განხილულ იქნა X წიგნის ამოქმედებასთან დაკავშირებული პრობლერმები.

მომზადებულია საბაჟო კოდექსის ცვლილების პროექტი, რომელიც არსებული გამოწვევების გათვალისწინებით უზრუნველყოფს საბაჟო ზედამხედველობის, საბაჟო კონტროლისა და საბაჟო ფორმალობების ეფექტურობის ამაღლებას, ასევე მოქნილი ადმინისტრირებისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნასა და საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციას.

მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს საბაჟო კოდექსის ცვლილებების პროექტის დახვეწაზე.

### 1.4. საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** „შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობისა და გადასახადებისთვის თავის არიდების აღკვეთის შესახებ“ შეთანხმებების

დადების/არსებული შეთანხმებების განახლების მიზნით კანონით განსაზღვრული შესაბამისი პროცედურების განხორციელება.

საგადასახადო მიზნებისთვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის ფარგლებში შემუშავებული საერთაშორისო საგადასახადო სტანდარტების დანერგვის და ახალი 2016 წლის მეთოდოლოგიის შესაბამისად მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლის შეფასების მე-2 რაუნდის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. ასევე საფინანსო ინფორმაციის ავტომატურ გაცვლასთან (CRS) დაკავშირებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადება/მიღება.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავებული 4 მინიმალური სტანდარტის დანერგვის/შემდგომი მონიტორინგის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

OECD-ის რეკომენდაციის შესაბამისად, მომზადდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) BEPS-ის სამოქმედო გეგმის მე-15 ღონისძიებების ფარგლებში შემუშავებული „საგადასახადო შეთანხმებებთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით“ მრავალმხრივი კონვენციის წარმატებით იმპლემენტაციის მიზნით შესაბამის ქვეყნებთან სინთეზირებული ტექსტების მომზადება და გამოქვეყნება.

ციფრული ეკონომიკის დაბეგვრასთან დაკავშირებით OECD-ის მიერ შემუშავებული პირველი და მეორე სვეტის (Pillar 1 and Pillar 2) შესახებ მიღებული შეთანხმებების ეტაპობრივი იმპლემენტაციის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

## პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** „შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობისა და გადასახადებისთვის თავის არიდების აღკვეთის შესახებ“ საქართველოსა და მაღაიზიას შორის შეთანხმების დადების მიზნით, გამოიცა საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულება მარინე ხურციძისათვის მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე. მაღაიზიის მხარისთვის დიპლომატიური ნოტის მიწოდების და მოლაპარაკებების დეტალების გარკვევის მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გაეგზავნა შესაბამისი დოკუმენტაცია. მოლაპარაკებების გამართვის პირველი რაუნდი ჩაინიშნა 2023 წლის მაისში.

კანონით განსაზღვრული შესაბამისი პროცედურების განხორციელების მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაეგზავნა „შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობისა და გადასახადებისთვის თავის არიდების აღკვეთის შესახებ“ შეთანხმებების დამუშავებული ტექსტები შემდეგ ქვეყნებთან: მონტენეგრო, ალბანეთი, ტაჯიკეთი.

„ შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობისა და გადასახადებისათვის თავის არიდების აღკვეთის შესახებ“ საქართველოსა და მონტენეგროს, საქართველოსა და ალბანეთს, საქართველოსა და ტაჯიკეთის რესპუბლიკას შორის შეთანხმების დადების მიზნით, გამოიცა საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულება მარინე ხურციძისათვის მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე და დიპლომატიური ნოტის მეშვეობით ეცნობათ მხარეებს მოლაპარაკების გამართვის პერიოდი.

განხორციელდა შესაბამისი ტექნიკური სამუშაოები საგადასახადო მიზნებისთვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის ფარგლებში შემუშავებული საერთაშორისო საგადასახადო სტანდარტების დანერგვის და ახალი 2016 წლის მეთოდოლოგიის შესაბამისად მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლის შეფასების მე-2 რაუნდთან დაკავშირებით.

ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის (CRS) დანერგვის მიზნით, ხელი მოეწერა „ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ კომპეტენტური უწყებების მრავალმხრივ შეთანხმებას“. საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ იქნა აღნიშნული შეთანხმების ამოქმედებისათვის მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებები. „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში, „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში“, „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების - საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონში, „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში, საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონში.

OECD-ის რეკომენდაციის შესაბამისად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) BEPS-ის სამოქმედო გეგმის მე-15 ღონისძიების ფარგლებში შემუშავებული „საგადასახადო შეთანხმებებთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით“ მრავალმხრივი კონვენციის წარმატებით იმპლემენტაციის მიზნით შემდეგ ქვეყნებთან მომზადდა სინთეზირებული ტექსტები: სლოვაკეთი, ხორვატია, საფრანგეთი, რუმინეთი და ესტონეთი. ამჟამად, საქართველოს ორმხრივი შეთანხმება გაფორმებული აქვს 57 ქვეყანასთან, საიდანაც მრავალმხრივი საგადასახადო კონვენციით გათვალისწინებული ნორმები გავრცელდება 34 შეთანხმებაზე, ამ დროინდელი მონაცემებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საიტზე დამატებულია 26 სინთეზირებული ტექსტი, მათ შორის ახალი დამატებულებია: პორტუგალია, ლიბერტენშტეინი, ისრაელი, ჩეხეთი, ნორვეგია, კორეა, კვიპროსი, საბერძნეთი, სან-მარინო, უნგრეთი, ბელგია. დანარჩენი სინთეზირებული ტექსტების დამატება მოხდება ეტაპობრივად.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) გადაეგზავნა „ვირტუალური ზონის პირი“, „საერთაშორისო კომპანიის“ და BEPS-ის მე-5 ღონისძიების იმპლემენტაციის ფარგლებში შესავსები ყოველწლიური ანგარიშები და შევსებული კითხვარები.

## 2. საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული კანონშესაბამისობის ამაღლება

### 2.1 ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზის შექმნა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

- პლატფორმის პროტოტიპი შექმნილი და დატესტილია;
- პლატფორმა ამოქმედებულია.

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი: „ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზის შექმნის“ პროექტი, რომელიც შემოსავლების სამსახურში მიმდინარეობს 2021 წლიდან და გულისხმობს ელექტრონული საინფორმაციო ბაზის შექმნას, იგივე მონაცემთა საძიებო ონლაინ პლატფორმას, სადაც განთავსებული ინფორმაცია განკუთვნილია შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის, ასევე, ინფორმაციის ნაწილი - ხელმისაწვდომია

გადასახადის გადამხდელთათვის. ერთიან მეთოდოლოგიურ ბაზაში განთავსდება და მუდმივად განახლდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მაგალითად:

- საკანონმდებლო აქტები
- შიდა მარეგულირებელი ინსტრუქციები და მეთოდური მითითებები, წინასწარი გადაწყვეტილებები, პროცედურული სახელმძღვანელოები,
- გზამკვლევები

ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზა იქნება ძირითადი ინფორმაციის წყარო იმ სტრუქტურული ერთეულებისთვის, რომელსაც უწევთ კონსულტაციის გაწევა დაინტერესებული პირებისთვის.

„ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზის შექმნის პროექტი“ სამოქადო გეგმის მიხედვით დაყო 24 აქტივობად, რომელიც გაერთიანებული იყო 3 ამოცანად:

- ამოცანა N1. ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზისთვის მომხმარებელთა საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული კონტენტის შექმნა;
- ამოცანა N2. ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზისთვის მომხმარებელთა საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული პლატფორმის კონცეფციის შექმნა;
- ამოცანა N3. ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზის შექმნა და დანერგვა.

პროექტი დასრულებულია, ელ-გვერდი Infohub.rs.ge ფუნქციონირებს რეალურ რეჟიმში. იანვარში იგეგმება აღნიშნული ბაზის გაცნობა ფართო საზოგადოებისთვის.

## 2.2 ძირითად გადასახადებში დეკლარაციების აუდიტის პროგრამის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

1. პროგრამა დანერგილია მოგების გადასახადში.
2. პროგრამა დანერგილია ყოველთვიურ საშემოსავლო გადასახადებში.

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

**პროგრესი:** ყოველთვიური მოგების გადასახადის და გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციების სისწორის კონტროლის პროგრამების ფარგლებში, განხორციელდა რისკის კრიტერიუმების ლოგიკების შემუშავება.

აღნიშნული კრიტერიუმების ინტეგრირება მონაცემთა საცავში ხორციელდება ეტაპობრივად, ხოლო უკვე იტეგრირებული კრიტერიუმების ანალიზი და ტესტირება ხორციელდება პარალელურ რეჟიმში.

დასრულებულია დავალებების მართვის მოდულის პროგრამული უზრუნველყოფა და მიმდინარეობს აღნიშნული მოდულის ტესტირების პროცესი.

დასრულებულია მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ყოველთვიური მოგების გადასახადისა და გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციების სისწორის კონტროლის პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი პროცესების პროცედურული სახელმძღვანელო და ამ ეტაპზე მიმდინარეობს სახელმძღვანელოს დასამტკიცებლად საჭირო პროცესები.

## 2.3 ძირითად გადასახადის სახეებში სავარაუდო დარიცხვის მექანიზმის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

მიმდინარეობს სავარაუდო დარიცხვა ქვემოთ ჩამოთვლილ გადასახადებში წარუდგენელ დეკლარაციებზე:

1. აქციზის გადასახადი;
2. დღგ (ფიზიკური პირი);
3. გადახდის წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი;
4. მცირე ბიზნესის ყოველთვიური მოგების გადასახადი.

**პერიოდი:** აპრილი - დეკემბერი

**პროგრესი:** სავარაუდო დარიცხვა 2022 წლის თებერვლის საანგარიშო პერიოდიდან ხორციელდება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელების (გარდა ფიზიკური პირების) მიერ წარუდგენელი მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის და გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციების მიმართ.

მესამე კვარტალში, ჩატარდა განვლილი კვარტლის ანალიზი, კერძოდ, საანგარიშო პერიოდების მიხედვით, თითოეული გადასახადის ჭრილში (დღგ, მოგება(თვე), საშემოსავლო (წყარო)) გაანალიზდა წარუდგენელი დეკლარაციების რაოდენობა სავადო თარიღამდე და საგარაუდო დარიცხვის შემდგომ პერიოდებზე.

ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მოგების და წყაროსთან დაკავებული გადასახადებში სავარაუდო დარიცხვის შემდგომ დეკლარაციების წარუდგენლობა 0% ტონია, ხოლო დღგ-ის დეკლარაციებთან მიმართებით შეინიშნება დადებითი ტენდენცია.

## 2.4 საგადასახადო დავალიანების მართვის რეფორმა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:**

1. დამტკიცებულია ვალის მართვის პროცედურული დოკუმენტები.
2. გადამზადებულია 165 თანამშრომელი.
3. დავალებების ინიცირება განხორციელებულია სატესტო რეჟიმში.
4. დავალიერების მქონე გადასახადის გადამხდელებთან კომუნიკაცია განხორციელებულია სატესტო რეჟიმში.
5. დავალებების მართვის მოდული ამუშავებულია სატესტო რეჟიმში.
6. ვალის მართვის დეპარტამენტის სტრუქტურული მოწყობა დასრულებულია.
7. ვალის მართვის ახალ სისტემაზე გადასვლა დასრულებულია.

**პერიოდი:** იანვარი - აგვისტო

**პროგრესი:** მართვის დეპარტამენტი, რომელიც სრულად დაკომპლექტებულია და ყველა თანამშრომელი გადამზადებულია იძულებით ღონისძიებებში და პირადი აღრიცხვის ბარათის წარმოების წესში. დაგეგმილია მათი გადამხადება სხვა მიმართულებებშიც.

ასევე,

- დამტკიცდა ვალის მართვის სტრატეგია და პროცედურული დოკუმენტები;
- ქეის-მენეჯმენტის პროგრამა სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს საპილოტე რეჟიმში;
- საპილოტე რეჟიმში მუშაობს არსებული სამუშაო გარემოს, გირავნობა/იპოთეკის, საინკასო დავალების, ყადაღის დადების, ნაღდი ფულის ამოღების და მესამე პირზე გადახდევინების მიქცევის პროგრამები;
- დასრულდა მუშაობა ვალის მართვის დეპარტამენტის სტრუქტურულ მოწყობაზე საპილოტე პროგრამის ფარგლებში.

ვალის მართვის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საოპერაციო აქტივობები და მათი შესრულების მონიტორინგი მიმდინარეობს ყოველთვიურ რეჟიმში. პროგრამის შედეგების გაანალიზება მოხდება 2023 წლის მესამე კვარტლის შემდეგ.

## 2.5 მსხვილ გადამხდელთა ადმინისტრირების ახალი მიზანმების დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

1. დამტკიცებულია მსხვილ გადამდელთა ადმინისტრირების სტრატეგია;
2. გადამზადებულია მსხვილ გადამხდელთა ოფისის თანამშრომლები;
3. დანერგილია დავალებების მართვის სისტემა;
4. მსხვილ გადამხდელებთან ასოცირებული მირითადი საგადასახადო რისკების მოდულები იმპლემენტირებულია მონაცემთა საცავში.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შემოსავლების სამსახურში ჩამოყალიბდა მსხვილ გადასახადის გადამხდელთა ოფისი, რომელიც მუშაობს ორი მირითადი მიმართულებით - მომსახურება და კანონშესაბამისობის უზრუნველყოფა.

წლის ბოლომდე დამტკიცდება მსხვილ გადასახადის გადამხდელთა ადმინისტრირების 2022-2024 წლების განახლებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. სტრატეგიის მიზანია ცენტრალიზებული, სამართლიანი და გამჭვირვალე მიდგომებით, მსხვილი გადასახადის გადამხდელების საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მომდევნო წლებში დაიგეგმა შემდეგი ამოცანების განხორციელება:

- მსხვილ გადასახადის გადამხდელებზე მორგებული სერვისების განვითარება;
- კანონშესაბამისობასთან დაკავშირებული რისკების მართვის პროცესის გაძლიერება;
- ადამიანური რესურსის შესაძლებლობების გაუმჯობესება.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 24 ივნისის N16226 ბრძანებით დამტკიცდა „2022-2023 წლების კანონშესაბამისობის გაუმჯობესების გეგმის“ შესასრულებლად განსახორციელებელი აქტივობები, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს მსხვილი კატეგორიის გადამხდელთა კანონშესაბამისობის რისკის შემცირების ღონისძიებების განხორციელება.

ოფისი გადასულია საოპერაციო ქმედებების განხორციელებაზე და ყოველთვიურ რეჟიმში ხორციელდება შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი.

აგრეთვე,

- უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს მსხვილ გადამხდელთა ოფისის თანამშრომლების გადამზადება სხვადასხვა საჭიროებებთან დაკავშირებით, ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მეშვეობით.
- დაწყებულია მუშაობა დავალებების მართვის სისტემის დანერგვაზე;
- მსხვილ გადასახადის გადამხდელთა მირითადი საგადასახადო მონაცემების მონიტორინგისათვის, სტანდარტული რეპორტინგის სისტემის მეშვეობით, რომელიც ინტეგრირებულია BI გარემოში, ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება დაკვირვება მსხვილ გადამხდელებთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის ინფორმაციაზე.
- დაწყებულია მუშაობა რისკის კრიტერიუმების ლოგიკების დოკუმენტურ ფორმალიზებაზე.

- მსხვილ გადამხდელთა ოფისისა (LTO) და ანალიტიკური დეპარტამენტს შორის, იდენტიფიცირებული რისკების შეფასებისთვის შემუშავდა უკუკავშირის მიზნით მონაცემთა გაცვლის ფორმა.

## 2.6 eTIR სისტემის დანერგვა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** შემოსავლების სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:**

1. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელებულია;
2. პროგრამული უზრუნველყოფა დანერგილია.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** 2021 წლის მაისის თვეში ძალაში შევიდა „TIR კარნეტების ფარგლებში საქონლის საერთაშორისო გადაზიდვის შესახებ“ უწევის 1975 წლის 14 ნოემბრის საბაჟო კონვენციის (TIR კონვენციის) მე-11 დანართი, რომელიც გულისხმობს TIR პროცედურების გაციფრულებას.

აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, გაეროს მიერ თებერვლის თვეში დამტკიცდა eTIR პლატფორმის ახალი ვერსია, რაც გაეგზავნა ყველა მონაწილე მხარის IT ადმინისტრაციას და მოიცავს მხარეებსა და გაეროს შორის გასაცვლელ ინფორმაციასა და ველებს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს განახლებული მონაცემების დამუშავება. ამასთან, ა/წლის თებერვლის თვეში შედგა რიგით მეორე შეხვედრა სამხრივ ფორმატში საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის საბაჟო და IT ადმინისტრაციებს შორის eTIR პლატფორმის დანერგვასთან დაკავშირებით, ყველა ადმინისტრაცია მიმდინარე ეტაპზე ახორციელებს განახლებულ სპეციფიკაციებზე მუშაობას.

შემოსავლების სამსახურის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს e-TIR სისტემის დანერგვაზე და საერთაშორისო TIR მონაცემთა საცავში (ITDB – International TIR Data Bank) TIR მფლობელთა სტატუსების ელექტრონულად მართვის წესის ჩამოყალიბებაზე. აღნიშნული ჯგუფის მიერ შემუშავდა ბიზნეს იპერატორის TIR პროცედურაზე დაშვების, სტატუსის შეჩერების, გაუქმების და კონტროლის პირობების სამუშაო დოკუმენტი.

სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა და დასამტკიცებლად გადაეგზავნა ფინანსთა სამინისტროს ბიზნეს იპერატორის TIR პროცედურაზე დაშვების, სტატუსის შეჩერების, გაუქმების და კონტროლის პირობების თაობაზე განსახორციელებელი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი.

შემუშავდა პირის TIR პროცედურაზე დასაშვებ / დაშვებულ პირთა შესახებ პროგრამული მოდულისთვის ფუნქციონალის დოკუმენტი და მიმდინარეობს პროგრამული უზრუნველყოფის სამუშაოები.

დეკემბრის თვეში განხორციელდა eTIR პროექტის იმპლემენტაციის მიზნით, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის - UNECE მიერ დამტკიცებული „შესაბამისობის ტესტირების“ 5 ფაზიდან 1 და მე-2 ფაზის წარმატებით ტესტირება.

## 3. ეკონომიკური მოდელის მხარდაჭერა

### 3.1 ფინანსური ინფორმაციის ავტომატური გაცვლის საპილოტე პროექტის მეორე ფაზის განხორციელება

## **პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური**

### **შესრულების მაჩვენებელი:**

1. მოპოვებულია დონორის თანხმობა პროექტის დაფინანსებაზე.
2. განხორციელებულია არანაკლებ ერთ შეხვედრა ფინანსურ ინსტიტუტებთან.
3. ჩატარებულია არანაკლებ 4 შეხვედრა OECD-ს საქართველოსთვის ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში.
4. AEOI სტანდარტის იმპლემენტაციის საკითხებზე ჩატარებულია სამუშაო ჯგუფის არანაკლებ ორი შეხვედრა.

### **პერიოდი: იანვარი- დეკემბერი**

**პროგრესი:** იმართება რეგულარული სამუშაო შეხვედრები ფინანსური ინფორმაციის ავტომატური გაცვლის საპილოტე პროექტში ჩართულ მხარეების წარმომადგენლებს შორის, სადაც პროექტის შესრულების პროგრესთან ერთად, ასევე, განიხილება კონფიდენციალურობის სტანდარტის დანერგვის საკითხიც. (პროექტში ჩართული მხარეები: შემოსავლების სამსახური, ფინანსთა სამინისტრო, საჭიროებისამებრ, ეროვნული ბანკი, გერმანიის ფედერალურ ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) გამჭვირვალობისა და საგადასახადო მიზნებისათვის ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმი, დონორი ორგანიზაციის - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ)).

ასევე, მუდმივად იმართება ქართული მხარის (შემოსავლების სამსახური, ფინანსთა სამინისტრო, ეროვნული ბანკი) შიდა სამუშაო შეხვედრები, რაც მოიცავს გლობალური ფორუმის და გერმანიის ფინანსთა სამინისტროს მხრიდან პროექტის შესრულებასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციების განხილვას და შესაბამისად გათვალისწინებას.

აღსანიშნავია, რომ მიღებულია დონორი ორგანიზაციის (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ) თანხმობა პროექტის ფინანსურ უზრუნველყოფაზე 70000 ევროს ოდენობით.

შემოსავლების სამსახურის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული ფუნქციონალის დოკუმენტის შესაბამისად, რაც გულისხმობს ინფორმაციის ავტომატური გაცვლის პლატფორმის ფუნქციურ აღწერას, GIZ მიერ გამოცხადდა ტენდერი. ტენდერის საფუძველზე გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია, რომელმაც უკვე გამართა შეხვედრა ფინანსურ ინსტიტუტებთან, სადაც ფინანსურ ინსტიტუტებს წარედგინათ ინფორმაცია ანგარიშგების პლატფორმასთან დაკავშირებით.

ამასთან, 2022 წლის ნოემბერში ფინანსთა მინისტრმა ხელი მოაწერა მრავალმხრივ შეთანხმებას, ასევე, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა შესაბამისი კანონმდებლობა. ამჟამად, მუშაობა მიმდინარეობს შესაბამის მეორად კანონმდებლობაზე, ინსტრუქციაზე და ინფორმაციის გაცვლის ტექნიკურ პორტალზე.

## **V - მაკროეკონომიკური ანალიზი და ფისკალური პოლიტიკა**

### **1.1 მაკროეკონომიკური პროგნოზების ანალიზის გაუმჯობესება და ანალიტიკური ინფორმაციის გაზრდა**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ეკონომიკური აქტივობის გაფართოებული ანალიტიკური პროდუქტები, გაუმჯობესებული პროგნოზი, მაკროეკონომიკური ანალიზით მიღებული შედეგები, მონაცემთა დამუშავების გაფართოებული ცენტრალიზებული სისტემა

### **პერიოდი: ივლისი - სექტემბერი**

**პროგრესი:** გრძელდება დღგ-ს გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ანალიზი დარგების ჭრილში. ასევე, საბაჟოს ოპერატიული მონაცემების ანალიზის შედეგად ხდება საგარეო ვაჭრობის ტენდენციების შეფასება. იხვეწება მონაცემთა დამუშავების სისტემა, რათა ოპერატიულად განხორციელდეს ინფორმაციის მიღება-დამუშავება. ხდება ყოველთვიური ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლის შეფასება და ფაქტობრივიდან გადახრის მიზეზების ანალიზი, პროგნოზის დახვეწის მიზნით.

## 1.2 ქვენის ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული პერიოდული ინფორმაცია ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ

**პერიოდი:** ივლისი - სექტემბერი

**პროგრესი:** მიმდინარე წელს სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა როგორც ყოველთვიური, ასევე - კვარტალური მიმოხილვები. გრძელდება ეკონომიკური ტენდენციების ანალიზის გაუმჯობესება-დახვეწა სხვადასხვა ანალიტიკური თუ ვიზუალური მაჩვენებლების გამოყენებით. ხდება ფულადი გზავნილებისა და ტურიზმის შესახებ ყოველთვიური ანალიზი და მირითადი ტენდენციების გამოვლენა. ასევე ხდება საერთაშორისო ვაჭრობის ანალიზი ყოველთვიურად. მიმდინარეობს ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება, რაც მორგებულია ინტერესეთა ცალკეულ ჯგუფებზე, მათ შორის საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოებსა და ინვესტორებზე.

## 1.3 მაკროეკონომიკური კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული კვლევითი ნაშრომები

**პერიოდი:** ივლისი - სექტემბერი

**პროგრესი:** დასრულებულია მუშაობა კვლევით ნაშრომზე და ხდება მისი კორექტირება დეპარტამენტის შიგნით არსებული კომენტარების გასათვალისწინებლად. იგეგმება, რომ დაკუმენტი 31 დეკემბრამდე გამოქვეყნდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

## 1.4 ეკონომიკის განვითარებაზე მოქმედი შოკების ანალიზი, სცენარების შედგენა და მაკროეკონომიკური რისკების შეფასება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** მაკროეკონომიკური რისკების განახლებული ანალიზი, DSGE მოდელის გამოყენებით სხვადასხვა პოლიტიკური სცენარის ანალიზი

**პერიოდი:** ივლისი - სექტემბერი

**პროგრესი:** წლის დასაწყისში შემუშავდა შოკების განვითარების სცენარები თავდაპირველად რუსეთ-უკრაინას შორის შესაძლო კონფლიქტის შესახებ, ხოლო ომის დაწყების შემდეგ კი - მისი შესაძლო გავლენის შესახებ საქართველოს ეკონომიკაზე. ბიუჯეტისთვის ასევე შემუშავდა მოსალოდნელი რისკების ანალიზი და შესაბამისი "Heatmap". ამასთან, მაკროეკონომიკური მოდელირების სამმართველოს თანამშრომლები იმყოფებოდნენ ვენის გაერთიანებულ ინსტიტუტში, სადაც გაიარეს ტრენინგი DSGE მოდელის გამოყენებით ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ანალიზის შესახებ.

## 1.5 სტრეს-ტესტების ანალიზი

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** DSGE მოდელის გამოყენებით სხვადასხვა სტრეს-ტესტის ანალიზი

**პერიოდი:** ივლისი - სექტემბერი

**პროგრესი:** წლის დასაწყისში განხორციელებული სტრეს-ტესტის ანალიზი ეხებოდა რეგიონში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე შესაძლო შედეგების ანალიზს.

## 1.6 საშუალოვადიანი ფისკალური პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** საშუალო ფისკალური პოლიტიკის დოკუმენტი

**პერიოდი:** ივლისი - სექტემბერი

**პროგრესი:** განახლდა მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზი 2023 წლისთვის, ასევე - მაკროეკონომიკური პოლიტიკის ამოცანები და მაკროეკონომიკური პროგნოზების შედარების დოკუმენტი. რაც შეეხება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს 2023-2026 (BDD), რომელიც წარმოადგენს ბიუჯეტის საშუალოვადიან ჩარჩოს, მომზადდა ბიუჯეტის კანონის პროექტთან ერთად და გამოქვეყნდა ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

## 1.7 სოციალურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შეფასებასა და სტრატეგიების შემუშავებაში მონაწილეობა მაკროეკონომიკური პროგნოზირების კუთხით

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** სოციალურ-ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა გავლენა მაკრო-ფისკალური მაჩვენებლებზე

**პერიოდი:** ივლისი - სექტემბერი

**პროგრესი:** მიმდინარე წელს აღნიშნული აქტივობის განხორციელების საჭიროება არ ყოფილა. ამასთან, სხვა უწყებებთან ერთად მიმდინარეობდა მუშაობა ქვეყნის 10-წლიანი ეროვნული განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე.

#### 1.8 ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების მიზნით სტრატეგიის დამუშავების კოორდინაცია და საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობის კოორდინაცია

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** სტრატეგიის საბოლოო ვერსიის შემუშავება

**პერიოდი:** ივლისი - სექტემბერი

**პროგრესი:** გრძელდება აქტიური კომუნიკაცია საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან, როგორიცაა Fitch, Moody's და S&P. წლის დასაწყისში განხორციელდა სამივე სარეიტინგო კომპანიასთან ვირტუალური შეხვედრები, რა დროსაც S&P-მ პერსპექტივა გააუმჯობესა ნეგატიურიდან სტაბილურ დონეზე. Moody's-მა კი პერსპექტივა პანდემიის დაწყებიდან დღემდე პირველად გააუარესა პერსპექტივა Ba2 სტაბილურიდან ნეგატიურად, რაც ძირითადად რეგიონში არსებული მდგომარეობის გამო საქართველოს მოწყვლადობიდან გამომდინარეობს. 2022 წლის ბოლოსთვის საქართველოს სუვერენული რეიტინგები შემდეგია: Fitch BB სტაბილური, S&P BB სტაბილური, Moody's Ba2 ნეგატიური. მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაცია სააგენტების წარმომადგენლებთან ელექტრონული ფოსტითა და ტელეფონით, რა დროსაც მათ ეცნობებათ ქვეყნის მირითადი ეკონომიკური ტენდენციების ან იმ საკითხების შესახებ, რაც მათთვის აქტუალურია.

#### 1.9 საგადასახადო დანახარჯების შესაფასებლად მონაცემების დამუშავება და ანალიზი, შეფასების არეალის გაზრდა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** საგადასახადო დანახარჯების შეფასების ანალიზის მომზადება

**პერიოდი:** ივლისი - სექტემბერი

**პროგრესი:** წლის დასაწყისში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებთან ერთად ჩატარდა შეხვედრები დისტანციურ რეჟიმში, სადაც ექსპერტების მიერ მოხდა საგადასახადო დანახარჯების შეფასებისა და ანალიზის შესახებ გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება. თანამშრომლები გაეცნენ იმ მეთოდებსა და მოდელებს, რაც გამოყენებული იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ, საქართველოსთვის საგადასახადო დანახარჯების შეფასების პროცესში. მიმდინარე მისის ფარგლებში განხორციელდა მოგების, საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადთან დაკავშირებული საგადასახადო დანახარჯების შესაფასებლად საჭირო მონაცემების დამუშავება და ანალიზი. მისის დასრულების შემდეგ თანამშრომლებმა განახლეს საგადასახადო

დანახარჯების შესახებ ინფორმაცია ბოლო მონაცემების მიხედვით. მესამე კვარტალში კი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტები იმყოფებოდნენ საქართველოში, რის ფარგლებშიც მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფინანსური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტისა და საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტების თანამშრომლებთან მოხდა სამუშაო შეხვედრები საგადასახადო დანახარჯების შეფასების ანგარიშის მომზადების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი დასრულებულია და ქართული ვარიანტი გამოქვეყნებულია ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე, ბიუჯეტის დანართის სახით. უახლოეს დღეებში სამინისტროს ვებ-გვერდზე ასევე გამოქვეყნდება ანგარიშის ინგლისური ვერსიაც.

## 2.1 ერთიანი და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების მომზადება, ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების არსებული მეთოდოლოგიის დახვეწა და ალტერნატიული მეთოდოლოგიის შემუშავება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფინანსური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** გაუმჯობესებული პროგნოზი, ალტერნატიული მეთოდოლოგიის გაუმჯობესება

**პერიოდი:** ივლისი - სექტემბერი

**პროგრესი:** გრძელდება როგორც მთლიანად საგადასახადო შემოსავლების, ისე ცალკეული გადასახადის (მათ შორის: დღგ, აქციზი, საბაჟო, საშემოსავლო, მოგების და ქონების გადასახადის) ელასტიურობის კოეფიციენტების შეფასება მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ, როგორც მოკლევადიანი, ისე - გრძელვადიანი პერიოდისთვის.

## 2.2 სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სამუშაოთა ორგანიზება და მონაცემთა გაფრცელება ქვეყანაში მიღებული სტატისტიკური მეთოდოლოგიით და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა გათვალისწინებით

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფინანსური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** გამოქვეყნებული ანგარიშები

**პერიოდი:** ივლისი - სექტემბერი

**პროგრესი:** ყოველწლიურად ხორციელდება საჯარო ფინანსების აღრიცხვის დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან მორგება. აღნიშნული ინფორმაცია ქვეყნდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე როგორ წლიური, აგრეთვე - კვარტალური და თვიური სიხშირით, ასევე მეორე კვარტალში სამინისტროს ვებ-გვერდზე დაიწყო GFSM 2014 მეთოდოლოგიით განახლებული მონაცემების გამოქვეყნება. გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტროს მიერ მზადდება ანალიტიკური მონაცემები ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების შესახებ, რომელიც გამოქვეყნდება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტებთან/კანონებთან ერთად. ამასთან, დაიწყო სამთავრობო სექტორისა და ცენტრალური მთავრობის ქვესექტორის საბალანსო ოპერაციების გამოქვეყნება 2019 წლის შემდგომი პერიოდიდან.

## VI - ფისკალური რისკები

### 1.1 სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგიის მომზადება და საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების დანერგვას. დოკუმენტი საჯაროა და მოწონებულია პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. 2022 წელს ფინანსთა სამინისტრო კოორდინაციას გაუწევს სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის შესახებ კონსულტაციებს. სტრატეგიის საბოლოო ვერსია წარედგინება საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** შესრულდა

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №573 დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის“, „საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმისა“ და „საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის 2023 წლის პილოტირების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე.

### 1.2 სახელმწიფო საწარმოთა შესახებ ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგიის შესაბამისად შეიმუშავებს სახელმწიფო კორპორაციების (სახელმწიფო საწარმოების) შესახებ კანონის პროექტს და მასთან დაკავშირებულ კანონქვემდებარე აქტებს, რომელსაც წარუდგენს სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის საბჭოს დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენა საქართველოს პარლამენტისთვის მოხდება 2022 წლის მეოთხე კვარტალში.

**პერიოდი:** აპრილი - დეკემბერი

**პროგრესი:** ნაწილობრივ შესრულდა

სახელმწიფო კორპორაციების შესახებ სამართლებრივი ჩარჩოს განვითარებაზე მუშაობის დაწყების წინაპირობას წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დამტკიცება. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №573 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, სახელმწიფო საწარმოთა საკანონმდებლო ჩარჩოზე აქტიური მუშაობა დაიწყება 2023 წლიდან.

### 1.3 ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტის მომზადება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** საქართველო ფინანსთა სამინისტრო თან დაურთავს ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველ, მეორე და მესამე წარდგენებს. დოკუმენტის უმეტეს ნაწილში შენარჩუნდება 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მესამე წარდგენის სტანდარტი. ამასთან, 2021 წლისგან განსხვავებით ფინანსთა სამინისტრო გეგმავს გააფართოვოს ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი კლიმატური ცვლილებების და სასამართლო დავებიდან მომდინარე ფისკალური რისკების შეფასებით.

**პერიოდი:** ივლისი- დეკემბერი

**პროგრესი:** შესრულდა

ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი დაერთო „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს. დოკუმენტი მომზადებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების გათვალისწინებით და მოიცავს სახელმწიფო საწარმოთა ანალიზს, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების, მათ შორის ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვების ხელშეკრულებების ანალიზს. გარდა ამისა, გასული წლებისგან განსხვავებით, მიმდინარე წლიდან ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი ფარავს სასამართლო დავებიდან მომდინარე ფისკალურ რისკებს, გრძელვადიან ფისკალურ რისკებს - როგორიცაა კლიმატის ცვლილება, დემოგრაფიული (მოსახლეობის დაბერება) რისკები.

### 1.4 ფისკალური რისკების ანალიზის და მართვის მექანიზმების შემუშავება და შემდგომი დახვეწა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტი

**შესრულების მაჩვენებელი:** ფინანსთა სამინისტრომ პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით შეიმუშავა სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგია და სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის კოდექსი, რომლის მიხედვითაც გაზრდილია ფინანსთა სამინისტროს, როგორც ფისკალური ზედამხედველის ან/და სახელმწიფო საწარმოთა ცენტრალიზებული აქციონერის როლი; შეიზღუდა ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების (PPA) გაფორმება, რითაც შეწყდა პირობითი ვალდებულებების შემდგომი აკუმულირება და შემცირდა ენერგეტიკის სექტორიდან მომდინარე ფისკალური რისკები. PPA ჩანაცვლდა მხარდაჭერის უფრო გამჭვირვალე და ჯანსაღის სქემით, ე.წ. „მწვანე ტარიფით“ (FIP).

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** შესრულდა

2022 წლის ივნისის თვეში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო განისაზღვრა ზოგიერთი სახელმწიფო საწარმოს ფინანსურ ზედამხედველად. ფინანსური ზედამხედველობა გულისხმობს გადაწყვეტილებების ერთობლიობას, რომლებსაც არსებითი გავლენა აქვთ საწარმოების ფინანსურ შედეგებსა და პროცესებზე. აღნიშნული როლის და ფუნქციების დამატების ვალდებულება განსაზღვრული იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის ახალი პროგრამის დაწყების წინაპირობად. ეს გადაწყვეტილება წინ გადადგმული ნაბიჯია სახელმწიფო საწარმოთა ყოვლისმომცველი რეფორმის გზაზე და კრიტიკულად მნიშვნელოვანია პოტენციურ რისკებზე დროული რეაგირებისათვის, მათი შემცირებისა და თავიდან აცილების მიზნით.

## VII - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება

### 1.1 სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების დაგეგმვა, შეფასება და ცნობადობის ამაღლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

**შესრულების მაჩვენებელი:** 1. დამატებით 2 სამინისტროს მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერებთან განხორციელებულია სამუშაო შეხვედრები (workshops) სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემასთან დაკავშირებით. 2. შექმნილია და ფუნქციონირებს ჰარმონიზაციის ცენტრის ახალი ვებ გვერდი. 3. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების 2021 წლის წლიური ანგარიში წარდგენილია საქართველოს მთავრობის სხდომაზე.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის პილოტური დანერგვის ფარგლებში, შვედეთის ფინანსური მართვის ეროვნული უწყების (ESV) მხარდაჭერით, განხორციელდა შეხვედრები საპილოტედ შერჩეული 6 სამინისტროს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო) მენეჯერებთან და თანამშრომლებთან. ამასთან, აქტიურად მიმდინარეობს საჭიროებებზე ორიენტირებული სამუშაო შეხვედრების (workshops) განხორციელება აღნიშნული სამინისტროების წარმომადგენლების მონაწილეობით, კერძოდ, საანგარიშო პერიოდში შვედი ექსპერტების ჩართულობით განხორციელდა: სამუშაო შეხვედრა რისკების მართვისა და მიზნებისა და საქმიანობის ინდიკატორების თაობაზე, ასევე, განხორციელდა სამუშაო შეხვედრა საბიუჯეტო პროგრამის ფარგლებში მომსახურების გაწევის შესახებ შეთანხმების თაობაზე საპილოტე სამინისტროებისა და მათ სისტემაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების წარმომადგენლების მონაწილეობით. ამასთან, ჩატარდა 3 გასვლითი სამუშაო შეხვედრა (საქართველოში) და სასწავლო ვიზიტი შვედეთში ჰარმონიზაციის ცენტრის თანამშრომლებისა და საფინანსო/ეკონომიკური დეპარტამენტების წარმომადგენლებისთვის;

დასრულდა მუშაობა ჰარმონიზაციის ცენტრის ვებ გვერდის დიზაინზე, გრძელდება მუშაობა შინაარსის (ქონთენტი) სრულყოფის მიმართულებით;

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების 2021 წლის კონსოლიდირებული წლიური ანგარიში მოწოდებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ.

### 1.2 ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

**შესრულების მაჩვენებელი:** 1. დამატებით 2 სამინისტროს მაფროფილებელ დეპარტამენტებში ჩამოყალიბებულია მკაფიო მიზნები და საქმიანობის ინდიკატორები. 2. მინიმუმ 4 სამინისტროს მაპროფილებელი დეპარტამენტების

დონეზე ჩამოყალიბებულია და პრაქტიკაში გამოიყენება რისკების რესტრი; 3. გაფორმებულია დამატებით მინიმუმ 3 საბიუჯეტო პროგრამის ფარგლებში მომსახურების გაწევის შეთანხმება სამინისტროსა და მის სისტემაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს შორის.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** 6 სამინისტროს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო) წარმომადგენლებთან შვედეთის ფინანსური მართვის ეროვნული უწყების (ESV) მხარდაჭერით გაიმართა სამუშაო შეხვედრები საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით არსებული მიზნებისა და საქმიანობის ძირითადი ინდიკატორების გაუმჯობესების/დახვეწის მიზნით, ექსპერტების მხრიდან გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

4 სამინისტროში (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო), მაპროფილებელი დეპარტამენტების დონეზე ჩამოყალიბებულია რისკების რეესტრები, ამ მიმართულებით გრძელდება მუშაობა საქართველოს ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში;

დამატებით ჯამში გაფორმდა 10-ზე მეტი შეთანხმება საბიუჯეტო პროგრამის ფარგლებში მომსახურების გაწევის შესახებ.

### **1.3 შიდა აუდიტის საქმიანობის განვითარებისა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში**

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ჰარმონიზაციის ცენტრი

**შესრულების მაჩვენებელი:** 1. ინსტიტუციურად გაძლიერებულია მინიმუმ 5 მუნიციპალიტეტის და ავტონომიური რესბუბლიკების მინიმუმ 2 სამინისტროს შიდა აუდიტი სუბიექტი; 2. განხორციელებულია შიდა აუდიტის სუბიექტების საქმიანობის ხარისხის გარე შეფასების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მინიმუმ 20 მონიტორინგი; 3. ჰარმონიზაციის ცენტრის მხარდაჭერით განხორციელებულია მინიმუმ 3 ეფექტურიანობის აუდიტი, 3 სისტემური აუდიტი და 1 ინფორმაციული ტექნოლოგიების(IT) აუდიტი.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** შიდა აუდიტის სუბიექტების ინსტიტუციური გაძლიერების მიმართულებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით, ქ.წყალტუბოში ჩატარდა იმერეთის შიდა აუდიტრთა რეგიონალური ფორუმი. ფორუმის ფარგლებში განხორციელდა ქ. წყალტუბოს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული ეფექტურიანობის აუდიტის პილოტური პროექტის შედეგებისა და გამოცდილების გაზიარება კოლეგებისთვის, ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ წარდგენილ იქნა შიდა აუდიტის სუბიექტების საქმიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობები. ამასთან, შეხვედრები შედგა მერიის მაღალ მენეჯმენტთან და სამსახურების ხელმძღვანლებთან შიდა აუდიტის როლსა და საკონსულტაციო მანდატზე, ასევე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მაღალი სტანდარტის მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო დაწესებულებებში შიდა აუდიტის საქმიანობის ეფექტური განვითარების მიზნით, განხორციელდა ცნობიერების ასამაღლებელი პრაქტიკული სამუშაო კონფერენცია მენეჯმენტისა და შიდა აუდიტორებისთვის.

შიდა აუდიტის სუბიექტების საქმიანობის ხარისხის გარე შეფასების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის კუთხით უწყვეტი კომუნიკაციის ფორმით მიმდინარეობს, მერიების მიერ შესრულებული რეკომენდაციების ანალიზი, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა/შეფასება.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერითა და ადგილობრივი ექსპერტების ჩატარულობით დასრულდა ეფექტური კომუნიკაციის ფორმით მიმდინარეობს, მერიების მიერ შესრულებული რეკომენდაციების ანალიზი, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა/შეფასება.

ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტის დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობების გასაზრდელად, სამინისტროებისა და მუნიციპალიტეტების შიდა აუდიტორებმა მონაწილეობა მიიღეს სლოვენიის საერთაშორისო ფინანსური საექსპერტო ცენტრის „Center for Excellence in Finance“ (CEF) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ვებინარში. ასევე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტთან კოორდინაციით „NATO BI Internal Audit training-ის“ ფარგლებში, განხორციელდა პრაქტიკული ტრენინგი, რომლის საშუალებითაც გადამზღვდება 30 მდე შიდა აუდიტორი ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტის მიმართულებით.

## VIII - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა

### 1. ანგარიშგების პორტალის ეფექტური ფუნქციონირება

#### 1.1 ანგარიშგების პორტალის განვითარება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

#### **შესრულების მაჩვენებელი:**

რეფორმისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების მიმართულებით საწარმოთათვის ჩატარებული ცნობიერების ამაღლების 10 პრეზენტაცია;

ნათარგმნი და სამსახურის ვებგვერდზე განთავსებული განახლებული ფასს სტანდარტები;

მიზნობრივი აუდიტორიისთვის დონორებისა და სპონსორების მხარდაჭერით ჩატარებული მსს ფასს ტრენინგები;

ანგარიშგების წარდგენის ჩანართის მეშვეობით (**Reportal.ge | SARAS**) გასაჯაროებული 60 000-ზე მეტი საწარმოს 2020 და 2021 წლის ანგარიშგება სამსახურის პორტალზე (**Reportal.ge**);

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** 2022 წელს ითარგმნა და სამსახურის ვებგვერდზე განთავსდა განახლებული ფასს სტანდარტები;

რეფორმისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების მიმართულებით სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებულ 3 ღონისძიებაში. სამსახურის წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა სატელევიოზიო გადაცემაში, სადაც მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებულ სიახლეებზე მიეწოდა ინფორმაცია აუდიტორიას;

IV კატეგორიის საწარმოთა წარმომადგენლებისთვის, სექტემბრის თვეში ხუთ სხვადასხვა ქალაქში გაიმართა 8 ღონისძიება: ქუთაისში, ზუგდიდში, ბათუმში, თბილისსა და თელავში. ღონისძიებები ანგარიშგების წარდგენის პროცესისა და IV კატეგორიის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის მიმოხილვას ემსახურებოდა. პრეზენტაციებს ქვეყნის მასშტაბით ჯამში 700-მდე ბუღალტერი დაესწრო.

ასევე, სამსახურის წარმომადგენლება ბუღალტერთა კავშირის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. შეხვედრა ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებული საკითხების მიმოხილვას და კითხვებზე პასუხის გაცემას ემსახურებოდა. ღონისძიებას 150-მდე ბუღალტერი დაესწრო.

გარდა ამისა, სამსახურის წარმომადგენლები ფასს ფონდის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციას დაესწრნენ. გარდა ამისა, სამსახურმა და ფასს ფონდმა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, ერთობლივი ღონისძიებები გამართეს - „ფასს სტანდარტები, მსს ფასს სტანდარტი და მმართველობის ანგარიშგება - მნიშვნელოვანი სიახლეები“.

ასევე, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) პარტნიორობითა და შვეიცარიის ეკონომიკურ საქმეთა სახელმწიფო სამდივნო SECO-ის მხარდაჭერით მომზადდა ღონისძიება - „ბიზნეს სუბიექტების მიერ 2020 წელს წარდგენილი მმართველობის ანგარიშგებების კვლევა“ - სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნულში მიიღეს მონაწილეობა.

ანგარიშგებების წარდგენის ჩანართის მეშვეობით (**Reportal.ge | SARAS**) გასაჯაროებულია 76,588 საწარმოს 75,734 ინდივიდუალური და 854 კონსოლიდირებული ანგარიშგება სამსახურის პორტალზე (**Reportal.ge**).

## 2. ანგარიშგებების დეტალური მიმოხილვა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** საშუალოდ 35 ანგარიშგების დეტალური მიმოხილვა.

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** წარდგენილი ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმების აქტივობის ფარგლებში განხორციელდა 40 საწარმოს ანგარიშგების დეტალური მიმოხილვა.

## 3. აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა

### 3.1 აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდა

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** 30 აუდიტორული ფირმისთვის ჩატარებული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.

**პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

**პროგრესი:** 35 აუდიტორული ფირმისთვის/საქმიანობის ინდივიდუალურად განმახორციელებელი აუდიტორისთვის ჩატარებული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.

## IX - ინფორმაციული ტექნოლოგიები

### 1. საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერა და განვითარება

#### 1.1 eBudget - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** კონფიგურაციის ახალ ტექნოლოგიაზე გადაწერილი მოდულის გაშვება რეალურ გარემოში; სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების შესრულების სისტემის გადაწერა ახალ ტექნოლოგიაზე; წლიური და კვარტალური ბიუჯეტების დამტკიცებისას ბალანსის შემოწმების და ნაშთებით ავტომატურად დაბალანსების მექანიზმის შემუშავება; ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილების ფუნქციონალის გაფართოება; დინამიური ანგარიშების დოკუმენტების ფუნქციონალის გაფართოება; მიმდინარე ამოცანების ფარგლებში სისტემის ფუნქციონალისა და შესაბამისი მოდულების მოდერნიზება ან ახლის დამატება.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** სსიპებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების მართვის სისტემისთვის დაკონფიგურირდა სამუშაო გარემო 2022 წლისათვის; ახალ ტექნოლოგიაზე გადაწერილი სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების მართვის ელექტრონული სისტემის მომხმარებლების მხარე გაეშვა რეალურ გარემოში; ახალ ტექნოლოგიაზე გადაწერილი სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების მართვის ელექტრონული სისტემის ადმინისტრირება-კონფიგურაციის მხარე გადაიწერა ახალ ტექნოლოგიაზე და გაეშვა რეალურ გარემოში; სისტემაში შემოვიდა ახალი, პოლიტიკის კავშირის კლასიფიკატორი, რის შედეგადაც განხილულდა ცვლილებები სისტემის შემდეგ ნაწილებში: კონფიგურაციის მოდული, წლიური ფაილები, ანგარიშებები. შევიდა ცვლილებები რიგ ანგარიშების დოკუმენტებში. სისტემაში დაინერგა თანამდებობრივი სარგოების კოეფიციენტებით მართვის მექანიზმი, რომელზე დაყრდნობითაც საბაზისო ხელფასის ცვლილების შედეგად იცვლება თანამდებობრივი სარგოები კოეფიციენტების მიხედვით. სისტემაში შევიდა 94 შესწორება და აღმოიფხვრა 27 ხარვეზი.

#### 1.2 eTreasury - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** ბუღალტრული აღრიცხვის საკასო მეთოდიდან დარიცხვის მეთოდზე გადასვლის რეფორმის მეორე ეტაპისათვის - შემოსულობების ნაწილის ანალიტიკა და ტექნიკური დავალების შემუშავება, ახალი ანგარიშთა გეგმის შესაბამისად (მუნიციპალიტეტების გადახდები) ინვოისის და სახელფასო ოპერაციების ლოგიკის ცვლილება ხაზინის მთავარი წიგნის ოპტიმიზაცია; მრავალწლიანი ხელშეკრულებების ავტომატური იმპორტი ახალ სამუშაო პერიოდში, არარეგისტრირებული მრავალწლიანი ხელშეკრულებების დაბლოკის ფუნქციონალი; მიმდინარე ამოცანების ფარგლებში სისტემის ფუნქციონალისა და შესაბამისი მოდულების მოდერნიზება ან ახლის დამატება.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** მხარჯავების პორტალს დაემატა სავალუტო მოთხოვნების და ვალდებულებების ანგარიშგებები, არსებულ ვალდებულებების შესრულების ანგარიშგებაში დაემატა ინფორმაცია შესყიდვებში რეგისტრირებული ხელშეკრულების სტატუსზე. მხარჯავების პორტალის მოთხოვნების, პაკეტების და ხელფასების ფორმებზე დაემატა საინფორმაციო ველები, შეიცვალა წინა წლის ვალდებულებების იმპორტის ლოგიკა, დაიხვეწა საბილინგო სისტემებთან ინტეგრაციული სქემა. ბეჭედის და საფინანსო უწყებების პორტალებს დაემატა SMS კოდით ავტორიზაციის საშუალება და CPV კოდების ანგარიშგება. ბეჭედის დაემატა, რეპორტების გენერაციის პროცესის კონტროლის საშუალება, შეიცვალა SWIFT სისტემასთან კავშირის პროტოკოლი. სისტემაში დაემატა საბანკო ანგარიშების მფლობელის შემოწმების ფუნქციონალი და ახალი ვალიდაციები ვალდებულებების, პაკეტების, ხელფასების, დეპოზიტების, სსიპ-ის დავალებების მოდულებში, საპენსიო ფონდის მოთხოვნების დამუშავების და მობრუნებების განსაზღვრის პროცესებში. ჩარიცხვების სისტემის სერვისში დაემატა ჩარიცხვების ჩატვირთვის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდის სავალდებულო მითითებით საშუალება. რეალურ გარემოში გაეშვა ელექტრონული ხაზინის, ჩარიცხების საძიებო სისტემის, ტენდერების საძიებო სისტემის ახალი ვერსიები.

### 1.3 eDMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** საგარეო ვალის მომსახურების ახალი ანგარიშგების დოკუმენტების შექმნა; ბიუჯეტის მხარდამჭერი პროექტების გეგმიური ინფორმაციის დაზუსტების ფუნქციონალის გაფართოება და სრულყოფა; პროექტებზე ჩამორიცხვების ფუნქციონალის გაფართოება - სერვისების აწყობა ხაზინის სისტემასთან ფაქტიური შემოსულობების ხაზინის სისტემიდან წამოღების მიზნით; საგარეო ვალის საკრედიტო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ამოცანების ანალიტიკა; მიმდინარე ამოცანების ფარგლებში სისტემის ფუნქციონალისა და შესაბამისი მოდულების მოდერნიზება ან ახლის დამატება.

**პერიოდი:** იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემასა და დაკავშირებულ სისტემებში სტრუქტურულად გასწორდა საგარეო ვალის რიგი პროგრამები, პროექტები და კომპონენტები; პროექტებზე და კომპონენტებზე შესწორდა დონორები; შევიდა შესწორებები ანგარიშგების დოკუმენტებში; დაიმპორტდა ჩამორიცხვების ინფორმაცია რიგ პროექტებზე; სისტემაში შევიდა 45 შესწორება და აღმოიფხვრა 4 ხარვეზი.

### 1.4 eHRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

**პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** სისტემაში დამატებული ახალი მოდულების: შეფასების მოდულის, პროფესიული განვითარების მოდულის, რეპორტის კონსტრუქტორის და self-service პორტალის ტექნიკური მხარდაჭერა და დახვეწა/განვითარება/მოდერნიზება ახალი მოთხოვნების შესაბამისად; საინტეგრაციო პროცესების უზრუნველყოფა გარე სისტემებთან უკვე განსაზღვრული და შემუშავებული პროტოკოლის შესაბამისად (მონაცემების ექსპორტი და იმპორტი eHRMS სისტემაში სხვა HR სისტემებიდან); სისტემაში ახალი მოთხოვნების რეალიზება და მომხმარებელთა მუდმივი მხარდაჭერა; საჯარო ორგანიზაციებში სისტემის დანერგვის პროცესის გაგრძელება.

#### პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** დასრულდა eHRMS სისტემაში არსებული პროფესიული სწავლების მოდულის ინტეგრაციის სამუშაოები Moodle სისტემასთან, ასევე მოხდა შესაბამისი საინტეგრაციო სერვისის განახლება. განხორციელდა სისტემის არსებული მოდულების განახლება და ახალი ამოცანების რეალიზება. შეფასების მოდულში განახლდა კომპონენტების კოპირების ფუნქციონალი, ასევე სრულად განახლდა შვებულების ფუნქციონალი. სისტემას დაუმატა ახალი სტატიკური რეპორტები და განხორციელდა ანგარიშების ჩანართის ოპტიმიზაცია. დასრულდა ორგანიზაციის ჭრილში მონაცემების ექსპორტის ამოცანა.

მიმდინარეობს ახალი მოთხოვნები/შემთხვევევის იდენტიფიცირება და მათი ტექნიკური გადაწყვეტის სამუშაოები.

### 1.5 ფინანსთა სამინისტროს ICT-ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა

#### პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

**შესრულების მაჩვენებელი:** საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის ინფრასტრუქტურული და სისტემური მდგრადობის ამაღლება; ბიზნეს პროცესების ITIL-თან შესაბამისობაში მოყვანა, ISO27001 სტანდარტების დანერგვა და ინფორმაციული უსაფრთხოების დონის ამაღლება; მონაცემთა ბაზების ოპტიმიზაცია (დოკუმენტ ბრუნვის, ხაზინის მონაცემთა ბაზების ოპტიმიზაცია, ბაზების დაყოფა ცალ-ცალკე წლების მიხედვით და მველი მომველებული მონაცემების შემდგომ განთავსება დაბალი წარმადობის სანახ სისტემებზე); ახალი ჰიპერკონვერგენტული სისტემის სერვერული და მონაცემთა შენახვის სისტემების შემდგომი გაფართოება; ვირტუალური ინფრასტრუქტურის (Vcenter,ESX) განახლება 7.0 ვერსიამდე, სერვერების ოპერაციული სისტემების ვერსიების ამაღლება და ვირტუალური სერვერების მიგრაცია ახალ სისტემაზე; სასერვეროების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია გაგრილების სისტემის განახლება. ვებ აპლიკაციის ფაერვოლის (WAF) და ბალანსერის შემენა დანერგვა.

#### პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

**პროგრესი:** დაინერგა ახალი თაობის ბრენდმაჟერი (PALOALTO) განხორციელდა არსებული კონფიგურაციის გადატანა და შემდგომი ოპტიმიზაცია უსაფრთხოების ზომების შესაბამისად. განხორციელდა ბრენდმაჟერის ინტეგრაცია „Active Directory (AD)“-სთან, დაკონფიგურირდა ახალი თაობის ბრენდმაჟერის ინტერნეტ ტრაფიკის და კონტენტის ფილტრაციი წესები.

დაინერგა ახალი დაშვების ტურნიკეტების სისტემა ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, გაიმართა ახალი სერვერები დაკონფიგურირდა კონტროლერები, დამიგრირდა მონაცემები არსებულიდან, განხორციელდა ახალი

ორაკლის მონაცემთა ბაზა „Gateway“-ი ინსტალაცია, კონფიგურაცია. ინფორმაცია მიმოსვლის შესახებ დაინტეგრირდა ორაკლის მთავარ მონაცემთა ბაზაში.

განახლდა გარე მომხმარებლების ელექტრონული ფოსტის და აქტივ დირექტორის სერვერები.

განხორციელდა ჰიპერკონვერგენტული სისტემის Dell EMC VxRail სისტემის პროგრამული კოდის და ვირტუალიზაციის პლატფორმის განახლება ასევე დისკური მასივის DellEMC XtremIO2 სისტემის პროგრამული კოდის განახლება.

შემოსავლების სამსახურის რეგიონებში SD-WAN ტექნოლოგიით დუბლირებული კავშირის უზრუნველყოფა სათაო ოფისებთან, ახალი როუტერების ინსტალაცია კონფიგურაცია მიგრაცია.

SICPA-ს აქციზური მარკების პროექტის ფარგლებში ახალი ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნა ინსტალაცია.

ჰიპერკონვერგენტული სისტემის Dell EMC VxRail სისტემის პროგრამული კოდის და ვირტუალიზაციის პლატფორმის პროგრამული განახლება.

**დანართი:** საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2022 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვა

#### დანართი

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2022 წლის სამოქმედო გეგმით  
გათვალისწინებული ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვა

#	მიმართულება/ღონისძიება	დაფინანსების მთლიანი მოცულობა/დაფ
---	------------------------	---

		ინანსურის წყარო (ლარი)
	<b>I - ბიუჯეტირება</b>	23 01 - სახელმწიფო ფინანსურის მართვა
		3,000,000
<b>1</b>	<b>ბიუჯეტის მართვის სრულყოფა</b>	<b>3,000,000</b>
1.1	წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის შემუშავება	400,000
1.2	საშუალოვადიანი დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდა (MTEF)	400,000
1.3	პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესების ხელშეწყობა სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე	400,000
1.4	საბიუჯეტო დოკუმენტაციის ფისკალური მართვის პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა	300,000
1.5	საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი ციკლის ჩამოყალიბება	500,000
1.6	წლიური და კვარტალური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება, მაკონტროლებლის წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერება	300,000
1.7	საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა	100,000
1.8	მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესება	400,000
1.9	საბიუჯეტო პროცესის მხარდაჭერა შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფით	50,000
1.10	სტრატეგიული/სექტორული პოლიტიკის დოკუმენტებსა და ბიუჯეტს შორის კავშირის გაძლიერება	150,000
	<b>II - მთავრობის ვალის მართვა</b>	23 01 - სახელმწიფო ფინანსურის მართვა
		1,100.0
<b>1</b>	მთავრობის ვალის მართვის საშუალოვადიანი სტრატეგიის განახლება	<b>300,000</b>
2	მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება	800,000
2.2	პირველადი დილერების სისტემის დანერგვის პროცესის შემდეგ ეტაპზე გადასვლა	300,000
2.3	ინვესტორებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება	300,000
2.3	სახელმწიფო ვალის შესახებ კანონის განახლება	200,000
	<b>III - აღრიცხვა და ანგარიშგება</b>	23 01 - სახელმწიფო ფინანსურის მართვა

		1,700,000
<b>1</b>	<b>დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვა</b>	<b>1,000,000</b>
1.1	IP SAS სტანდარტების მოთხოვნებთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის მიზნით, საჯარო სექტორში აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების დახვეწა და გაუმჯობესება	50,000
1.2	IP SAS სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოს სახელით ადმინისტრირებადი კატეგორიების აღრიცხვა და ანგარიშგება	50,000
1.3	საჯარო სექტორის ბუღალტრებისთვის სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ტრენინგების და ა.შ გამართვა	700,000
1.4	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების მომზადება სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების შესაბამისად*	-
1.5	მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების საფუძველზე	150,000
1.6	IP SAS სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, სტანდარტების მუდმივი თარგმნა/განახლება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	50,000
<b>2</b>	<b>სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) განვითარება</b>	<b>700,000</b>
2.1	სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში (PFMS) დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ხაზინის მთავარი წიგნის ფუნქციონალების შემუშავება/განვითარება და არსებული ბიზნეს-პროცესების დახვეწა/გამარტივება	300,000
2.2	სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების გადამზადება ხაზინის ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან/ცვლილებებთან დაკავშირებით	400,000
		23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა 23 02 - შემოსავლების მობილზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება
		8,400,000
<b>1</b>	<b>საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება</b>	<b>2,400,000</b>
1.1	ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზება	400,000
1.2	საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა	400,000
1.3	საბაჟო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა	500,000
1.4	საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა	1,100,000

<b>2</b>	<b>საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული კანონმქანიზმის ამაღლება</b>	<b>5,800,000</b>
2.1	ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზის შექმნა	1,500,00
2.2	ძირითად გადასახადებში დეკლარაციების აუდიტის პროგრამის დაწერვა	900,000
2.3	ძირითად გადასახადის სახეებში სავარაუდო დარიცხვის მექანიზმის შემუშავება	1,000,000
2.4	საგადასახადო დავალიანების მართვის რეფორმა	700,000
2.5	მსხვილ გადამხდელთა ადმინისტრირების ახალი მიდგომების დაწერვა	600,000
2.6	eTIR სისტემის დაწერვა	1,100,000
<b>3</b>	<b>ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერა</b>	<b>200,000</b>
3.1	ფინანსური ინფორმაციის ავტომატური გაცვლის საპილოტე პროექტის მეორე ფაზის განხორციელება	200,000
	<b>V - მაკროეკონომიკური ანალიზი და ფისკალური პოლიტიკა</b>	<b>23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა</b>  <b>1,400,000</b>
<b>1</b>	<b>მაკროეკონომიკური პროგნოზირების და ანალიზის გაუმჯობესება</b>	<b>1,100,000</b>
1.1	მაკროეკონომიკური პროგნოზების ანალიზის გაუმჯობესება და ანალიტიკური ინფორმაციის გაზრდა	150,000
1.2	ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება	140,000
1.3	მაკროეკონომიკური კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნება	60,000
1.4	ეკონომიკის განვითარებაზე მოქმედი შოკების ანალიზი, სცენარების შედგენა და მაკროეკონომიკური რისკების შეფასება	160,000
1.5	სტრეს-ტესტების ანალიზი	70,000
1.6	საშუალოვადიანი ფისკალური პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	110,000
1.7	სოციალურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შეფასებასა და სტრატეგიების შემუშავებაში მონაწილეობა მაკროეკონომიკური პროგნოზირების კუთხით	90,000
1.8	ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების მიზნით სტრატეგიის დამუშავების კოორდინაცია და საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობის კოორდინაცია	150,000
1.9	საგადასახადო დანახარჯების შესაფასებლად მონაცემების დამუშავება და ანალიზი, შეფასების არეალის გაზრდა	170,000
<b>2</b>	<b>შემოსავლების პროგნოზირების და ანალიზის გაუმჯობესება</b>	<b>300,000</b>

2.1	ერთიანი და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების მომზადება, ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების არსებული მეთოდოლოგიის დახვეწა და ალტერნატიული მეთოდოლოგიის შემუშავება	150,000
2.2	სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სამუშაოთა ორგანიზება და მონაცემთა გავრცელება ქვეყანაში მიღებული სტატისტიკური მეთოდოლოგიით და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა გათვალისწინებით	150,000
	<b>VI - ფისკალური რისკები</b>	23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა  <b>500,000</b>
1.1	სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგიის მომზადება და საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა	100,000
1.2	სახელმწიფო საწარმოთა შესახებ ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება	100,000
1.3	ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტის მომზადება	100,000
1.4	ფისკალური რისკების ანალიზის და მართვის მექანიზმების შემუშავება და შემდგომი დახვეწა	200,000
	<b>VII - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება</b>	23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა  <b>1,043,000</b>
1	<b>სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა</b>	<b>1,043,000</b>
1.1	სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების დაგეგმვა, შეფასება და ცნობადობის ამაღლება	140,000
1.2	ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში	600,000
1.3	შიდა აუდიტის საქმიანობის განვითარებისა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში	303,000
	<b>VIII - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა</b>	23 06 - ბუღალტრული, აღრიცხვის ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობა  <b>900,000</b>
1	<b>ანგარიშგებების პორტალის ეფექტური ფუნქციონირება</b>	<b>300,000</b>

1.1	ანგარიშგებების პორტალის განვითარება	300,000
<b>2</b>	<b>აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა</b>	<b>500,000</b>
<b>2.1</b>	აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდა	500,000
<b>3</b>	ანგარიშგებების დეტალური მიმოხილვა	100,000
	<b>IX - ინფორმაციული ტექნოლოგიები</b>	<b>23 04 - ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა</b>
		3,766,940
<b>1</b>	<b>საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერა და განვითარება</b>	<b>3,766,940</b>
1.1	eBudget - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	533,540
1.2	eTreasury - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	1,003,000
1.3	eDMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	210,600
1.4	eHRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	433,700
1.5	ფინანსთა სამინისტროს ICT-ინფრასტრუქტურის მდგრადიზაცია უზრუნველყოფა	1,586,100

\*აქტივობა განხორციელდება დონორის დაფინანსებით